# საქართველოს რესპუბლიკა



გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 29 დეკემბერი. 2022 წ. №193-194 (9531-9532) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




# 2023 დავით აღმაშენებლის წელია! XXI საუკუნის „ოქროს ხანის“ დასაწყისი ყოფილიყოს!

გილოცავთ ახალ წელს!

აუცილებლად მიმაჩნია საზოგადოებას შევახსენო, რომ 2023 წელს სრულდება 950 წელი დიდი ქართველი პოლიტიკოსის, „მესიის მახვილის“, მეფეთ-მეფე წმიდა დავით IV აღმაშენებლის დაბადებიდან. ღრმად მწამს, რომ ამ თარიღს ქართული საზოგადოება, ხელისუფლება და შესაბამისი უწყებები, ჩვენი მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ღირსეულად აღნიშნავენ, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ დავით აღმაშენებლის იუბილე ფართოდ აღინიშნოს მთელს მსოფლიოში.

**როინ მეტრეველი,**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

„ს. რ.“ 7 თებერვალი, 2022 წელი

## სამეგრელო ოცნებაა!..



იხ. 4 გვ.

## სენაკიდან სიკეთისა და განახლების შუქი კიაფობს!



იხ. 5 გვ.

## სვანეთის სიყვარული მასოცხლებს, სვანებთან მეგობრობა მწამს!

◉ პამფლეტი

## პიესა გლობალური ომის პარტიის ორი მეორეხარისხოვანი პერსონაჟისთვის

რამდენიმე სტილისტის, გრიმიორის, მხატვარ-დიზაინერის, აგრეთვე, დრამატურგისა და რეჟისორის „კონსილიუმის“ **ოთხას ოცდათვრამეტ დღიანმა** ნამუშევარმა, სახელწოდებით – „მიშა კვდება“, პირველი „პრასმოტრი“ აშკარად ჩააგდო. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მთავარი როლის შემსრულებელმა ვერ ითამაშა, არამედ უფრო იმიტომ, რომ ზემოხსენებული **„შემოქმედებითი ჯგუფის“ იდეები შორს იყო რეალობისგან,** იმდენად შორს, რომ „პრავდაპადობნობის“ ნატამალიც არსად იკითხებოდა.

იხ. 2 გვ.



იხ. 15 გვ.

## ხელოვნება, რომელიც ნეტარებით გათრობს

# აშკარა წინსვლის წელიწადი!



## ირაკლი ღარიბაშვილი: კანდიდატის სტატუსს ქვეყანა მალე მიიღებს!

„მინდა, შევეხო წლის მთავარ მოვლენას, ეს არის ევროკავშირის გადაწყვეტილება, საქართველოს მიენიჭა ევროპული პერსპექტივა, რომელიც მანამდე იყო რთული წარმოსადგენი. ამ ომმა დააჩქარა პროცესები, ჩვენ ეს კარგად გვესმის. ჩვენ ველოდებოდით, რომ მივიღებდით კანდიდატის სტატუსს, თუმცა კარგად გვესმის, რომ ეს იყო მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება, ეს არ იყო დამსახურებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ამ ეტაპზე არ მიენიჭა სტატუსი. თუმცა გვჯერა, რომ ამ სტატუსს ჩვენი ქვეყანა ძალიან მალე მიიღებს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის გარემოება და ის წარმატებული რეფორმები, რომლებიც ჩვენ გავატარეთ. 12 რეკომენდაცია, რომელიც განისაზღვრა ჩვენი ქვეყნისთვის, ზედმიწევნით იქნა შესრულებული პარლამენტისა და ჩვენი ჩართულობით. ახლა ველოდებით ჩვენი ევროპელი კოლეგების გადაწყვეტილებას.

მინდა, საზოგადოებას შევახსენო, რომ ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე ყველა სიკეთე, ყველა ის პროგრესი, რომელიც იქნა მიღწეული ბოლო ათ წელიწადში, ეს არის ჩვენი გუნდის დამსახურება მხოლოდ, იქნებოდა ეს ჯერ კიდევ ასოცირების შეთანხმება, შემდეგ – თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი, ახლა უკვე ოფიციალური განაცხადის შეტანა ევროკავშირის წევრობაზე და მიღებული ევროპული პერსპექტივა. ეს ყველაფერი არის „ქართული ოცნების“ დამსახურება“.

## უკრაინაში ომი ურთულესი გამოწვევაა!

„მინდა, დავიწყო რეგიონის ვითარების შეფასებით. ევროპის კონტინენტზე უპრეცედენტო გამოწვევა და კრიზისია. უკრაინაში ომი ჩვენთვის, ყველასთვის დიდი გამოწვევაა. ომმა დიდი გავლენა მოახდინა როგორც თავად ევროპის კონტინენტზე, ასევე ჩვენს რეგიონზე, ქვეყანაზე, მთლიანად გლობალურ პოლიტიკაზე. შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიო დგას დიდი გამოწვევის წინაშე, რომელიც არ დამდგარა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეს კარგად გვაქვს გააზრებული. ეს არის ურთულესი გამოწვევა, რომელსაც სჭირდება ძალიან გონივრული მართვა და ჩვენ შესაბამისად ავაწყვეთ ჩვენი პოლიტიკა. პირველივე დღეებიდან სწორი პოლიტიკა დავიჭირეთ. სწორი პოლიტიკა გავატარეთ და ამ სწორ პოლიტიკას ვახორციელებთ. არაერთხელ მითქვამს და ჩვენი გუნდის წევრების საერთო სულისკვეთება არის, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა. სწორედ ამ მთავარი მოტივაციით, იდეით ვმოქმედებთ და ვატარებთ იმ პოლიტიკას, რომელიც, პირველ რიგში, ჩვენს ხალხს, ხალხის ინტერესებს სჭირდება...

ამასთან, პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას მხარდაჭერა გამოხატა უკრაინელი ხალხის მიმართ და მათ მშვიდობა უსურვა.

## შავი ზღვის სადენის პროექტი მეორე ბაქო-ჯეიჰანი-თბილისის პროექტია!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის საქმიანობის ანგარიშის წარდგენისას შავი ზღვის გავლით ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა კაბელის პროექტზეც ისაუბრა.

ღარიბაშვილის თქმით, ეს არის ისტორიული პროექტი, რომელსაც ევროკავშირის მხრიდან სრული მხარდაჭერა აქვს. ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, აღნიშნული პროექტი არის ელექტროენერგიის რეალიზაციის გარანტირებული საშუალება, ევროკავშირის ენერგოსისტემასთან პირდაპირი დაკავშირება.

– ჩვენ წარმატებული ნაბიჯი გადავდგით, მოგეხსენებათ, რამდენიმე კვირის წინ ვიმყოფებოდი ბუქარესტში, სადაც ისტორიულ პროექტს ჩავუყარეთ საფუძველი. ეს არის თავიდან ბოლომდე ქართული ინიციატივა, ჩვენ მიერ მიტანილი ინიციატივა ევროკავშირში, ჩვენს პარტნიორებთან, ჩვენს მეგობარ აზერბაიჯანთან, რუმინეთთან. ჩვენ რუმინეთთან ერთად დავიწყეთ ამ პროექტის განხორციელება, რომელსაც შეუერთდა აზერბაიჯანი, უნგრეთი და სრული მხარდაჭერა აქვს ამ პროექტს ევროკავშირის მხრიდან. მოგეხსენებათ, ქალბატონი ფონ დერ ლაიენი იმყოფებოდა ჩვენთან ერთად ბუქარესტში და საზეიმოდ აღვნიშნეთ ამ პროექტის დაწყება. სულ მალე, რამდენიმე თვეში დასრულდება კვლევები, ე.წ. ფიზიბილითი და ამის შემდეგ აქტიურ სამუშაოებზე გადავალთ. რას მოუტანს ეს ქვეყანას? შეიძლება ითქვას, რომ ეს მეორე ბაქო-ჯეიჰანი-თბილისის პროექტია, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ელექტროენერგიის გარანტირებული რეალიზაციის საშუალება, ეს არის ჩვენი ენერგოსისტემის ევროკავშირის ენერგოსისტემასთან პირდაპირი დაკავშირება და ისტორიული მნიშვნელობის პროექტი. დაახლოებით 2-3 მილიარდი დოლარი დაჯდება აღნიშნული პროექტი და ამ პროექტს განვახორციელებთ ჩვენ ყველანი ერთად, ის ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოვაწერეთ აღნიშნულ მემორანდუმს. ამიტომ კიდევ ერთხელ მინდა, აღვნიშნო, აუცილებელია, საქართველოს ჰქონდეს ელექტროენერგიის შესაბამისი გამომუშავება, ამიტომ გვჭირდება გენერაციის ობიექტების განვითარება, აშენება, როგორც ქარის, მზის, ჰიდროელექტროსადგურების, ასევე, თბოსადგურების, რომ ჩვენ ჩვენი წილი ელექტროენერგია გავყიდოთ ევროკავშირში, რაც ასეულობით მილიონი დოლარის შემოსავალს მოუტანს ჩვენს ქვეყანას, საბოლოო ჯამში, ჩვენს ხალხზე აისახება ეს სიკეთე. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ეკონომიკის ზრდა წინ უსწრებს გენერაციის გამომუშავებას, აუცილებელია, ეს პროპორციები პირიქით შევატრიალოთ. გენერაცია უნდა უსწრებდეს ეკონომიკის ზრდას!..

# პიესა გლობალური ომის პარტიის ორი მეორეხარისხოვანი პერსონაჟისთვის

(პირველი გვერდიდან)

მაყურებელმა ვერ გაიგო, **ლუქს-პალატაში მოთავსებული „განსაკუთრებული პაციენტი“ რატომ უნდა ყოფილიყო დაუბანელი, რატომ ვერ უნდა მოეხერხებინა ერთ დროს მეფის ტოლა კაცს წვერის გაპარსვა, ან თმის დავარცხნა რატომ უნდა გამხდარიყო ამ უკანასკნელისთვის და ყველა გაგებით უკანასკნელისთვის გადაულახავი პრობლემა?**

ერთი სტოპკადრისთვის მოფიქრებულმა **ლოყების კბილებს შორის შეწუწვნის** სცენამაც, მისი „მრავალმხრივი ნიჭის“ თაყვანისმცემელთა სამწუხაროდ, ვერ იმუშავა. აღნიშნულმა ეპიზოდმა აშკარა ფიასკო განიცადა, როცა **წამებულსახიანი პერსონაჟის როლის შემსრულებლისთვის ორგანულმა ცხვირის მოწმენდის** (თითის წვერიდან სახელომდე) **ჟესტმა მისი „გმირი“ ბუნებრივ მდგომარეობაში დააბრუნა.**

მაგრამ, **ის რაც სამარცხვინო სიმულაციად შეაფასა ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა, როგორც მოსალოდნელი იყო, პროპაგანდისტულ მასალად იქცა აღქმებზე მომუშავე სხვადასხვა ჯურის ლობისტებისთვის.**

მაგალითად, **პოლიტიკაში როლებით მოსულმა,** ანუ ამ საქმეში დიდი გამოცდილების მქონე ზელენსკიმ, ფრონტის ხაზიდან ჩვენთვის კიდევ ერთხელ მოიცალა და ბრძანა: **„რაც ახლა მიხეილის თავს ხდება, სისასტიკეა. ეს საქართველოს არ ეკადრებაო“.**

ბატონო ვოლოდიმირ, რა არ ეკადრება? **სისხლისმსმელი და ქვეყნის გამყიდველი მანიაკი სანატორიუმის პირობებში რომ იხდის სასჯელს, ეს არ ეკადრება?** რაც შეეხება სისასტიკეს, დიდი კასტინგის შემდეგ პრეზიდენტის როლზე გამწესებულო ბატონო ზელენსკი, **სისასტიკე ის იყო, რასაც თავის დროზე თქვენსავით გამწესებული თქვენი „სულიერი“ ძმა და მეგობარი აკეთებდა ძალაუფლებით ტკბობის პერიოდში** (ჩამონათვალი გრძელია).

ბატონო უმადურო და დაუნახავო და **თქვენი მრავალი განცხადებიდან და ქმედებიდან გამომდინარე, საქართველოს მეგობარი ქვეყნის საქართველოს არამეგობარო „მთავარსარდალო“,** კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ჩვენთვის, ქართველებისთვის, მტრულ დამოკიდებულებად და გაცხადებულ სისასტიკედ აღიქმებოდა, თქვენ და თქვენი წინამორბედი კოლეგები **წლების განმავლობაში სასათბურე პირობებს რომ უქმნიდით საქართველოში არეულობისა და სახელმწიფო გადატრიალების მომზადების საორგანიზაციო ჯგუფებს,** ამიტომ ხმა არაფერზე გაქვთ ამოსაღები. **როგორ ფიქრობთ, ქართველ ხალხს თქვენ მიმართ რა დამოკიდებულება აქვს თქვენი გუნდის მხრიდან მეორე ფრონტის თემის გაუთავებელი ტრიალისა და თქვენგანვე მომდინარე შეურაცხყოფების გამო?**

ჩვენი ერისთვის მტკივნეულ თემებზე, რაც საქართველო-უკრაინის ურთიერთობებს ეხება, **ოფიციალური პირები, უბრალოდ, არ საუბრობენ, რადგან ომში იმყოფებით და რადგან ერთი საერთო მტერი გვყავს.**

რაც შეეხება ქართველ ხალხს... **რაც ზემოთ მოგახსენეთ, მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რასაც ვფიქრობთ და განვიცდით...** მაგრამ, მოდით, ამაზეც ომის დასრულების შემდეგ ვილაპარაკოთ.

**ეკადრება-არ ეკადრებას თემას სხვა კუთხითაც რომ შევხედოთ:** თურმე არგენტინას, პერუს და მალდივებს ეკადრებათ ის, რაც ახლა მათი პრეზიდენტების თავს ტრიალებს; ერაყს, ეგვიპტეს და ლიბიასაც ეკადრებოდათ; სამხრეთ კორეასა და ფილიპინებსაც; რუმინეთს და სერბეთს – რასაკვირველია; ბრაზილიას, პანამას და კოლუმბიას რომ ეკადრებოდათ, არც ამას უნდა ზედმეტი ფიცი-მტკიცი; იმ აფრიკული ქვეყნების ჩამონათვალი, უწყვეტი კადრების რეჟიმში რომ იმყოფებიან, ძალიან შორს წაგვიყვანს; ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, უკრაინასაც ხომ ნამდვილად ეკადრებოდა და ეკადრება ტიმოშენკოს, იანუკოვიჩისა და პოროშენკოს სისხლის სამართლებრივი დევნა და მასთან ერთად, მოლდოვასაც ხომ ეკადრება დოდონის მიმართ იგივე; და რაც მთავარია – ამერიკას ხომ ეკადრება და ეკადრება და კიდევ მრავალათასჯერ ეკადრება დონალდ ტრამპის... რა ვიცი, რა ვუწოდო და... თურმე საქართველოს „არ ეკადრება“(!)...

შენ, ჰეი, ზელენსკი ხარ, თუ სერიალის ეკრანიდან საინფორმაციო გამოშვებების ეკრანზე გადამხტარი პერსონაჟი, **აბა ერთი კარგად ჩაიხედე სარკეში!..** ეს გლობალური ომის პარტიის ერთი საცოდავი მარიონეტი ესა... ჰა?..

სისასტიკე იცით რა არის? ის არის, რაც ამერიკის ხელისუფლების მეორე პირმა, ენტონი ბლინკენმა იკადრა ორიოდ დღის წინ: **„აშშ-ს დროულად რომ არ გამოეყვანა ჯარები ავღანეთიდან, დღეს ამ მოცულობის სამხედრო დახმარებას უკრაინას ვერ აღმოვუჩენდითო“.**

გესმით, ეს რას ნიშნავს? რიგითი ადამიანების ენაზე თუ ვთარგმნით, ასეთი შინაარსის ტექსტს მივიღებთ: – **„ავღანელებს არ მოუკვდათ პატრონი? უკრაინა ჩვენთვის სტრატეგიულად უფრო მნიშვნელოვანია, რადგან საფრთხე NATO-ს საზღვრებს შეიძლება მოუახლოვდესო“.** აი ასე... არც მეტი, არც ნაკლები...

ვინც კარგად იცის, რა არის „თალიბანი“, დამეთანხმება, რომ **ავღანეთიდან ამერიკული ჯარების გამოსვლა მილიონობით ადამიანის, განსაკუთრებით ქალების, სიცოცხლეში სიკვდილისთვის გაწირვას ნიშნავს.** დღეს მთელი ავღანეთი ამერიკულ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის ბორბალს მოწყვეტილი ავღანელი სპორტსმენის ბედისთვის არის განწირული.

ძალიან მინდა უკრაინამ გაიმარჯვოს პუტინის რუსეთთან ომში, მაგრამ უკვე ვიცი, რომ ამ სურვილის აღსრულების შემთხვევაში, **სიცოცხლის ბოლომდე არ მომასვენებს განცდა, რომ უკრაინელი ხალხის ბედნიერება ავღანელი ხალხის უბედურებაზეა დაფუძნებული.** საინტერესოა, თქვენ რას ფიქრობთ, ბატონო ზელენსკი, რას ეტყოდით მეგობარ ბლინკენს?

ფიქრი რომ გაგიადვილოთ, ერთ პირად საიდუმლოს გაგიმხელთ – ბატონი გოგი, ჩემი მრავლისმცოდნე მეზობელი, 25 თებერვალს, ანუ ომის დაწყების მეორე დღეს, ჩურჩულით გამენდო, **ამერიკა ამ ომში ბოლო უკრაინელ ჯარისკაცამდე იბრძოლებს საყოველთაო მშვიდობისთვისო, თუ არადა, შენი ხმალი და ჩემი კისერიო(!).**

**ბიძინა დვალი**

27.12.2022 წ.



**P.S.** მათთვის მარად „პრეზიდენტის“ მდგომარეობის გამო „შიშით შეპყრობილი“ ხელმომწერების საერთო რიცხვმა, ქალიან-კაციანად, დაახლოებით 750 ერთეული შეადგინა. სალომესთვის არ ვიცი და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, სამართლიანობის ფასისა და მნიშვნელობის მცოდნე ნებისმიერი ქართველისთვის ამ ამორალურად შეშფოთებული ფსევდო-მედასავლეთეების ჯამურ ავტორიტეტს ირინა ენუქიძის წამწამზე მოციმციმე ერთი ცრემლი გადაწონის.

## ვიყოთ ოპტიმისტები!..

**ახალი წლის გღურბლზე შედლუხის დაქუხებისა და გოზინაყის გაღეჭვის შემდეგ პირველი სურვილ-დალოცვა ეს არის, დამდეგმა გასულს აჯობოსო.**

**ოღონდაც! მე არ მახსოვს, რა ერქვა 2022-ს ჩვენში რატომღაც ასე პოპულარული ჩინური კალენდრის მიხედვით — კატის, ვირთხის, წითელი ხვლიკისა თუ რადაც ამგვარი. ისე კი ნაღდად გიჟის წელიწადის სახელს იმსახურებდა.**




# გიჟის წელიწადი...

**დედამიწა მრგვალი როა და თან ბრუნავს, ყველამ ვიცით, რვავე მილიარდმა.**

მაგრამ იყო დრო, როცა ეს ჭეშმარიტება ერთადერთმა-კოპერნიკმა იცოდა მთელ დუნიაზე და იმ ერთადერთს დანარჩენები გიჟს ეძახდნენ. ანდა როგორ არ უნდა დაეძახათ გიჟი, როცა აშკარად შერეკილი ჩანდა — ერთი ყველას (უსაზღვრო რაოდენობის ყველას) წინააღმდეგ!

ანუ: შეიძლება დადგეს მომენტი, როცა რვა მილიარდი მართალი არ არის და მართალი ის ერთი გიჟია.

საბედნიეროდ ასეთი გიჟები მეჩხერად, მაგრამ მაინც იყვნენ, არიან და კაცობრიობის პროგრესს განაპირობებენ.

ოღონდ ყველა გიჟში როდი ილანდება გენიოსი. იმ გიჟებს შორის, რომლებიც ასე მრავლად ფუთფუთებენ, მაგალითად, დღევანდელ საქართველოში, გენიის ნაპერწკალი არ იძებნება, ის კი თვალნათლივაა, რომ მათი მცდელობით ქვეყანაში მუდმივად არის ღრიანცელი, ძარღვიანი ხალხური ენით თუ ვიტყვით, ღრენაი, კბენაი და უკან თითის მიცემაი.

აქვე სათქმელად: როგორც ჩანს, არ ამართლებს %ყოველ შემთხვევაში, მუდამ არ ამართლებს) ძველებური სიბრძნე, გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო. ნებაზე კი არა, პირდაპირ ყირაზე მიუშვეს, მაგრამ ჭკუა ვერ ისწავლეს. ეს მათი ბრალია, რომ 2022 წელი ისე გვემშვიდობება, ვერ გაარჩევ მთავრდება თუ იწყება, იმდენად უგავს თავი და ბოლო ერთმანეთს: ისევ გათიშულობა, ისევ ჩასაფრება, ისევ წივილ-კივილი და ისევ ზურგში დანის ჩარტყმა...

ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა ტყუპისცალი პარტიკუნების წევრები არიან, სძულთ ერთმანეთი, ფანატიკურად, უღრმესი სიძულვილით, რის შესაძლებლობასაც კი მათი პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიები იძლევა.

შემზარა პოლიტიკური სიძულვილის საჯარო გამოხატვის ერთმა ფაქტმა: იმის გამო, რომ რადიკალური ოპოზიციის წევრებს არ მოეწონათ თბილისის მერიის გადაწყვეტილება, დამდეგ წელს თბილისის სლოგანად იქცეს „მშვიდობის ქალაქი“, აქაოდა, კიევში ქვეყანა იქცევა და ამ დროს როგორ შეიძლება თბილისი მშვიდობის ქალაქი იყოს, ეს ხომ გაუგონარი ღალატიაო, ჯერ ავად იჟრიამულეს, მერე ქალაქის ცენტრში მდგარ საახალწლო ნაძვის ხეს შავი ლენტები შეაბეს და ამდენად დედაქალაქელი ბავშვებისა და მოზარდების სასიხარულოდ და საბედნიეროდ მორთულ-მოკაზმულ ამ ლამაზ სიმბოლოს სამგლოვიარო ელფერი მისცეს და ამით უბედურება უსურვეს ყველას, ვინც მის გარშემო უნდა იზეიმოს.

იხ. 7 გვ.

**130-ზე მეტი ყოფილი თანამდებობის პირი მიხეილ სააკაშვილის განთავისუფლების მოთხოვნით ერთობლივ განცხადებას ავრცელებს, რომელიც საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, სააკაშვილი სასწრაფოდ უნდა გაიგზავნოს სამკურნალოდ უცხოეთში, ეს არის ზეპარტიული მიზანი. განცხადების ავტორები თვლიან, რომ ასეა სწორი ისტორიის, პოლიტიკური მიზანშეწონილობის, ჰუმანიზმისა და ცივილიზებულობის პრინციპებიდან გამომდინარე.**

# პოლიტ-შარლატანი – ადრეც და ახლაც!




ექსპრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, მას სერიოზული დამნაშავეები ყავს გაშვებული, გადავადებული, თუმცა იმ ადამიანების სიკვდილი ერის ისტორიულ პერსპექტივაზე არ იმოქმედებდა, სააკაშვილის სიკვდილი კი მისი თქმით, ისტორიაში ჩაწერს ფურცელს, ქვეყნის პრეზიდენტი მოვკალით. მარგველაშვილი თვლის, რომ მსჯავრდებულ სააკაშვილს ბრალი უნდა გადაუვადდეს იმ მდგომარეობამდე, როცა ის შეძლებს, რომ იტვირთოს განაჩენი.

**„მე ასეთი გადაწყვეტილება მიმიღია. იყვნენ პატიმრები, რომელთა თაობაზეც იყო სამედიცინო დასკვნები, რომ მათ ჰქონდათ ძალიან მძიმე ჯანმრთელობის პრობლემა და მე მათთვის ბრალი გადამივადებია. მე არ შემიცვლია პოზიცია, ახლაც ასე ვფიქრობ, რომ ყველა პატიმარი თანაბარია და რადგან ყველა თანაბარია, ამიტომ მიგითითებთ, გადახედოთ ჩემს ბიოგრაფიას, მართლა სერიოზული დამნაშავეები მყავს გაშვებული, გადავადებული.**

**თუმცა იმ ადამიანების სიკვდილი ერის ისტორიულ პერსპექტივაზე არ იმოქმედებდა, მაგრამ მე მაინც გადავუვადე მათ. ამ ადამიანის სიკვდილი ჩვენ ისტორიაში ჩაწერს ასეთ ფურცელს - მეორედ უკვე მიზეზი ვიპოვეთ და ქვეყნის პრეზიდენტი მოვკალით. ვფიქრობ, ძალიან მძიმე ფურცელი იქნება საქართველოს ისტორიაში, თუ უკვე მეორე პრეზიდენტი იქნება, რომელსაც ჩვენ ძალადობრივად მოვაკვდინებთ“,** — აცხადებს **გიორგი მარგველაშვილი.**

მარგველაშვილს წარსული შეახსენა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, **ხატია დეკანოიძემ,** როდესაც მარგველაშვილს შეეძლო შეეწყალებინა სააკაშვილი, რაც არ გააკეთა. როგორც დეკანოიძე აცხადებს, მარგველაშვილმა ეს შანსი ხელიდან გაუშვა.

**„გიორგი მარგველაშვილის წერილზე, მინდა, ვთქვა, რომ გიორგი მარგველაშვილისთვის ძალიან კარგი იქნებოდა, მიხეილ სააკაშვილი შეეწყალებინა და ეს ბერკეტი გამოეყენებინა, ამიტომ ახლა მესმის ამ წერილის შინაარსი, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მან ეს შანსი გაუშვა ხელიდან“,** — აღნიშნა **ხატია დეკანოიძემ.**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის **ნიკოლოზ სამხარაძის** განცხადებით, ყოფილი თანამდებობის პირების ერთობლივი განცხადება არ წაუკითხავს, რადგან მას ხელს გიორგი მარგველაშვილი და დავით კეზერაშვილი აწერენ. მისი თქმით, კეზერაშვილთან ერთად განცხადების ხელმოწერა მარგველაშვლის მხრიდან განსაკუთრებით საწყენია.

დეპუტატი **დიმიტრი ხუნდაძე** თვლის, რომ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური ავადმყოფია, რომელიც შეპყრობილია ძალადობრივი ბერკეტების მოპოვების სურვილით. როგორც ხუნდაძე აცხადებს, საზოგადოება ახლა თვალს ადევნებს მიხეილ სააკაშვილის ნებისმიერი მეთოდით გათავისუფლების სპეცოპერაციას.

**„მსგავსი ტიპისა და შინაარსის სპეცოპერაცია უშედეგოდ დასრულდა, როცა სააკაშვილი დიდი სცენარის გათვალისწინებით, საქართველოში კონტეინერით შემოიყვანეს, რათა ქვეყანაში არეულობა მომხდარიყო და ეს არეულობა ხელისუფლების ცვლილებით დასრულებულიყო — ეს იმ ხელისუფლების, რომელიც არავის მიმართ მორჩილი არ არის და პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნის ინტერესებს ითვალისწინებს.**

**როგორც ჩანს, დღის წესრიგიდან არ მოხსნილა ის, რომ არეულობა აუცილებლად მისაღწევია, მაგრამ სცენარის ავტორების მხრიდან სადარდებელია ის, რომ თუკი ისინი სააკაშვილის გათავისუფლებას ვერ მოახერხებენ, შესაძლოა, ის ცუდად ალაპარაკდეს და მან ბევრ საკითხზე ისაუბროს, რომელიც შეეხება ავტორებსაც და შემსრულებლებსაც. რიგი ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსების გამალებული მცდელობა, რომ მიხეილ სააკაშვილი გათავისუფლდეს, ხომ არ არის განპირობებული ძველი თუ ახალი ერთობლივი დანაშაულების გადაფარვისთვის? ამ კითხვებს პასუხები სჭირდება“,** — განაცხადა **დიმიტრი ხუნდაძემ.**

რაც შეეხება განცხადების შინაარსს და გიორგი მარგველაშვილის ხელმოწერას, ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ამბობს, რომ მარგველაშვილი ჩამოყალიბდა როგორც პოლიტშარლატანი, რომელიც ბოროტად იყენებდა ხელისუფლებას.

**„თუკი ვინმე ახლო ნათესავი ჰყავდა, ვინც კი ნარკოდანაშაულში იყო შემჩნეული, ყველა გაანთავისუფლა და თანაც რამდენჯერმე. პირადი ინტერესებისთვის იყენებდა უმაღლეს თანამდებობას. ერთი უმთავრესი — მარგველაშვილმა გააკეთა სამარცხვინო განცხადება, როდესაც თქვა - მარტო ერთი ზარი კმარა ვაშინგტონიდან, რომ გაანთავისუფლონ სააკაშვილიო. ე.ი. თვითონ ეს კაცი არის მონა, ჩამოყალიბებული მონური სულით. მიკვირს, როგორ შეიძლება ასეთი კაცი ყოფილიყო ქვეყნის პირველი პირი. პირადად მეც მაქვს ხმა მინაცემი ამ კაცზე. მრცხვენია, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ლაპარაკობს ვაშინგტონიდან ერთი ზარის სანაცვლოდ შეიძლება ყველა ჩვენთაგანისთვის ყელი გამოეჭრა. აი, ეს კაცი გვყავდა პრეზიდენტად“,** — აცხადებს გვენეტაძე. ანალიტიკოსის განცხადებით, სწორედ მარგველაშვილის მსგავსი ადამიანები უტეხენ სახელს დასავლურ მიმართულებებს, კულტურას და იდენტობას. მისი თქმით, მარგველაშვილის პრეზიდენტობა სამარცხვინო ფურცლად შევა საქართველოს ისტორიაში.

**„მეტიც, ეს 130 კაცი, ვინც ხელს აწერს განცხადებას, არიან კუბში აყვანილი ყვარყვარეები. ბევრი მათგანი იყო ბიძინა ივანიშვილთან, რომელმაც ესენი გამოათრია პოლიტბორდელიდან და ეცადა ადამიანებად ექცია და ქვეყნის სამსახურში ჩაეყენებინა, მაგრამ როგორც კი ოდნავ ვითარება შეიცვალა, ისევ პოლიტბორდელისაკენ გაიხედეს. დარწმუნებული ვარ, რომ ამას ესენი აკეთებენ მხოლოდ ფულისათვის.**

**სააკაშვილზე მეტად სახელმწიფო დამნაშავეებად ვთვლი ამ ადამიანებს, იმიტომ, რომ ესენი ითხოვენ, მანიაკის, მკვლელის, სადისტური სისტემის შემქმნელის, გაიძვერას, სიმულანტის და თაღლითის ციხიდან გათავისულებას. რაც ყველაზე მეტი უბედურებაა ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, ისინი ფიქრობენ სააკაშვილის და მისი ხროვის ხელისუფლებაში დაბრუნებას. ეს იმას ნიშნავს, ვინმეს მოეთხოვა, სამხედრო დამნაშავეების გებელსის და გერინგის გათავისუფლება და შემდეგ ხელისუფლებაში დაბრუნება. ამიტომ, სააკაშვილზე მეტად დამნაშავეებად მიმაჩნია ისინი, ვინც ითხოვს ამ სახელმწიფო დამნაშავის, კრიმინალის ციხიდან გათავისუფლებას“,** — აღნიშნა **ედიშერ გვენეტაძემ.**

**თამთა ქარჩავა**



ყველგან – ძლიერი რეგიონი – ძლიერი საქართველოსთვის!



# სენაკიდან სიკეთისა და განახლების შუქი კიაფობს!



**ორიოდე დღეც და 2022 წელი ისტორიის კუთვნილება გახდება. წელი, რომელიც სენაკისა და სენაკელებისთვის მრავალმხრივ იყო მნიშვნელოვანი და საყურადღებო.**

ყოველი წელიწადი საკუთარ კვალს ავლებს, ახალ ისტორიას წერს ამა თუ იმ ქალაქისა და მუნიციპალიტეტის მატიანეში. სენაკისთვის მშვიდობისა და აღმშენებლობის კარგი, აშკარად სანატრელი წელი გამოდგა 2022! ჩვენი მუნიციპალიტეტი კიდევ უფრო დამშვენდა და გალამაზდა. აშენდა თანამედროვე სტანდარტების მქონე შენობა-ნაგებობები, მოეწყო ახალი სკვერები, პარკები, ახალგაზრდობისთვის გასართობი და სასპორტო ცენტრები.

ნებისმიერი ქვეყნისთვის უმთავრესი ღირებულება ადამიანია, მთავრობებისთვის კი უპირველესი საზრუნავი – თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა და მშვიდობა. ყოველივე ეს სენაკელებისთვის მთავარზე უმთავრესია. ჩვენთან განსაკუთრებით მას შემდეგ გაკეთდა ბევრი სასიკეთო საქმე, რაც მუნიციპალიტეტის მერად ორგანიზატორული ნიჭით, სიახლის შეგრძნებით, მოყვასის თანადგომით, სიკეთისა და სიყვარულის საოცარი უნარით გამორჩეული ახალგაზრდა, მეურნე კაცი ვახტანგ გადელია აირჩიეს.

კარგი დასაწყისი დიდი საქმის ღირსეულად აღსრულების პირობაა! მერობის ამ მცირე პერიოდში, სენაკელთა ახალგაზრდა თავკაცმა შეძლო მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი მასშტაბური ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება. ამასთანავე, სრულიად სამართლიანად მოიპოვა აღიარება და არაერთი ჯილდო.

გვეამაყება, რადგანაც, ბატონი ვახტანგ გადელია მისთვის ჩვეული ადამიანური თანადგომითა და ოჯახური ტრადიციებით აგრძელებს ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტას და რაც მთავარია, იმ დანაპირების აღსრულებას, რაც მან წინასაარჩევნოდ კარდაკარ სიარულისას აღუთქვა საკუთარ ამომრჩეველს.

მიმდინარე წელს, სენაკის მუნიციპალიტეტში 10 მილიონზე მეტი ლარის ღირებულების, დაპირებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა.




მათ შორის, სააქციო საზოგადოება ,,არქეოპოლისმა" პირნათლად შეასრულა მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, სალიპარტიოს უბანში გზის და ჩიხის, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ კოტიანეთში სასაფლაოსთან მისასვლელი, სოფელ ძველ სენაკში – საარჩაიოს უბანში, სხივის ქუჩის წრის, ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში ლებაღათურეს უბანში, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ბორნისკენ მისასვლელი (ქვალონი-ზემო ჭალადიდი) და ეკი-უშაფათის დამაკავშირებელი გზების, ქ. სენაკში შონიას, ხორავას, ვახტანგ მეფის, ყაზბეგის, ჯიხას, ვაჩნაძისა და აღმაშენებლის ქუჩების განახლება-რეაბილიტაცია.



ამ საზეიმო დღეებში ერთობ ბედნიერნი და ამაყნი ვართ სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის" თანამშრომლები, რადგან, მუნიციპალიტეტის აღმშენებლობასა და წინსვლაში ჩვენი წონადი, გამორჩეული წვლილიც არის!



მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები წარმოადგენს ბატონ ვახტანგ გადელიას საქმიანობის ძირითად წყაროს და გვჯერა, რომ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერითა და მისი ხელმძღვანელობით შესრულებული ნებისმიერი პროექტი თუ პროგრამა, სენაკელებისთვის იქნება განვითარების, წინსვლის, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების და სიკეთის მომტანი.

გვჯერა, რომ კვლავაც აქტიურად გაგრძელდება სენაკის განვითარება, კეთილმოწყობა და გვიხარია, რომ ჩვენც ამ ყველაფრის თანაზიარნი ვხდებით.



აღსანიშნავია, რომ სენაკის მუნიციპალიტეტი დამდეგ 2023 წელს განსაკუთრებულად ლამაზად, განახლებული საახალწლო ილუმინაციებით და ღონისძიებებით ხვდება და ეს ყოველივე, ბატონი ვახტანგ გადელიას და მისი გუნდის დამსახურებაა.

გვინდა, ვისარგებლოთ შემთხვევით და ამ ამაღლებული განწყობით ბატონ ვახტანგ გადელიას, მის გუნდს, სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის" დამფუძნებელს, ქველმოქმედ და ღირსეულ პიროვნებას, ბატონ დემურ გადელიას, სენაკელებს, – საქართველოს ისტორიის და დღევანდელობის ერთ-ერთი საკვანძო რეგიონის მცხოვრებთ, სრულიად საქართველოს, ჩვენი ხუთასკაციანი სააქციო საზოგადოების სახელით მივულოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი.



**კუჩხი ბედინერი!**

**როგორც ჩვენი დიდი მეუფე, 90 წლის კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ყოველდღიურად ლოცულობს – „ღმერთმა გააერთიანოს და გაამთლიანოს საქართველო" გულწრფელად ვულოცავთ მას დაბადების დღეს და აღსაყდრების 45 წლისთავს!**

**ქვეყნის გამთლიანების, გაძლიერების, სიხარულის, სიყვარულის და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს 2023!**

**ᲒᲕᲤᲐᲠᲐᲕᲓᲔᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ!**

**ს.ს „ᲐᲠᲥᲔᲝᲞᲝᲚᲘᲡᲘᲡ"**
**ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ**

# სვანეთის სიყვარული მაცოცხლებს, სვანებთან მეგობრობა მწამს!

**ჩემს უბის წიგნაკში ჩაწერილი გულწრფელი სტრიქონები საგანგებოდ შემოვინახე გაზეთის წინასაახალწლო ნომერში დასაბეჭდად... ჩემი ლენტეხელები უნდა დავარწმუნო, რომ მე ისინი გამორჩეულად მიყვარს და არასოდეს დავივიწყებ!..**

**გურამ გუნავა,**
**ლენტეხისა და აბაშის საპატიო მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე.**

## „ლენტეხობა" – დიდი სახალხო დღესასწაული ლენტეხში



18 სექტემბერს უჩვეულოდ ლამაზი დილა გათენდა ლენტეხში. რაიონი, რომელსაც მდიდარი ისტორიული წარსული გააჩნია, მთაში არსებული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მტკიცედ შენარჩუნებით, ერთ-ერთი სამაგალითოა საქართველოს მაღალმთიან რაიონებს შორის. იგი ყველა დროში ინარჩუნებდა სახელს, როგორც სამშობლოს ერთგული და ძლიერი ძალა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაიონს დამსახურებულად ამშვენებს იმ ღირსეულ მამულიშვილთა სახელები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში. საკმარისია დავასახელოთ საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ბატონი თენგიზ ონიანი, რომელმაც მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული ფიზიოლოგის ივანე ბერიტაშვილის მემკვიდრეობა გააგრძელა. წლების განმავლობაში ის გახლდათ ფიზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, რომელმაც არაერთი სახელოვანი თაობა აღზარდა. მას გვერდს უმშვენებდნენ ლენტეხის მკვიდრი დოქტორები, პროფესორები მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. რაიონის ერთ-ერთ ლამაზ, კოლორიტულ სოფელ სასაშში, სადაც 220 კომლი ცხოვრობდა, გასული საუკუნის 80-იან წლებში ქვეყანას ჰყავდა ხუთი მეცნიერებათა კანდიდატი, ხუთი დოქტორი და ერთი აკადემიკოსი. ეს კი უდიდეს ღირსებასა და სიამაყეს გვრიდა მოსახლეობას.

უახლოეს პერიოდში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სტრუქტურებში აქტიურ ხელმძღვანელებად გვევლინებოდნენ და ღირსეულად იცავდნენ სახელსა და ღირსებას ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორი (სარკინიგზო და საჰაერო მიმოსვლა) თემურ ონიანი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე როლანდ ლიპარტელიანი, რადიო-ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარე და შემდეგ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი კარლო გარდაფხაძე, ქალაქ თბილისის პროკურორი მიხეილ (მიშა) ონიანი, გენერალური პროკურატურის საგანგებო და სპეციალურ დავალებათა ხელმძღვანელი სპირიდონ ტვილდიანი, 62-ე სკოლის დირექტორი, რომელმაც ქალაქ თბილისს არაერთი ცნობილი თაობა აღუზარდა, საამაყო და საკმარისია, გავიხსენოთ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. აღიარებული პიროვნება, დამსახურებული პედაგოგების მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილი, **პირველი კლასის იურისტი ქ. თბილისში ორი ათეული წლის განმავლობაში მიუკერძოებელი და სამართლიანი მოსამართლე, ქველმოქმედი (თავის მშობლიურ მაღალმთიან სოფელს მუწდში მე-12 საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ერთ-ერთი რესტავრატორი და მშენებელი ქალბატონი ნაირა ხაბულიანი,** რესპუბლიკის მთავარი კარდიოლოგი, დოქტორი დავით ტვილდიანი, ასევე ბავშვთა მთავარი ქირურგი ჯემალ ონიანი, ქირურგი გრიგოლ ჯანხოთელი, მკურნალი ექიმი, სათნო ქალბატონი თამარ გელოვანი, სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი თენგიზ გაზდელიანი, მინისტრის მოადგილე, ცნობილი პარტიული ხელმძღვანელი ივანე (ვანო) ხაბულიანი. დღეს ყველასთვის ცნობილი და საქვეყნოდ აღიარებული. დიდი პატრიოტი, საზოგადოება სტალინელის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი გრიგოლ ონიანი.

მსოფლიოში სახელი გაითქვეს ლენტეხელმა ფალავნებმა ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში. რაიონში მრავლად იყვნენ მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორები. სასახელო და აღიარებული სპორტსმენი გახლდათ რაგბისტი ოლეგ ლიპარტელიანი, რომელმაც მსოფლიოს საერთაშორისო შეჯიბრებებში გაითქვა სახელი.

რაიონში ფუნქციონირებდა ალპინისტთა ძლიერი ჯგუფი, რომელსაც დიდი მიშა ხერგიანის თანამებრძოლი ალპინისტი, საქვეყნოდ აღიარებული სპორტის დამსახურებული ოსტატი ჯოკია გუგავა ედგა სათავეში.

ყველა სოფელში ჩამოყალიბებული იყო ფოლკლორული ანსამბლები, რომელსაც სათავეში ედგა სახალხო ანსამბლი „ლილე", ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ჯოკია მეშველიანის ხელმძღვანელობით, ქორეოგრაფი, დიდი ენთუზიასტი შური ბენდელიანი – ეს სახელოვანი მემკვიდრეობა ღირსეულად გააგრძელა ფოლკლორული სიმღერების საუკეთესო შემსრულებელმა და ანსამბლ „ლილეს" ხელმძღვანელმა გელა (კუშნი) გუგავამ.

ზემო და ქვემო სვანეთი, მესტია-ლენტეხის რაიონი ცნობილია მძიმე, რთულ კლიმატურ პირობებში მცხოვრები შრომისმოყვარე, შეუდრეკელი მამაცი ადამიანებით, რომლებიც არ უშინდებიან სირთულეებს და წარმატებით სძლევენ წინააღმდეგობას. სწორედ ასეთმა ადამიანებმა შეუნარჩუნეს მთას საუკუნოვანი სახე, რომლის მოწმეა ნაბრძოლი ციხე-კოშკები და რომელსაც ასე სიამაყით ფლობს დღევანდელი და მომავალი თაობა.

დღეს ლენტეხის რაიონს სათავეში უდგას მოსახლეობის ნებით არჩეული ხელმძღვანელი, რაიონის მკვიდრი, განათლებული და ენერგიული გიორგი (გია) ონიანი. მას დედაქალაქში საკმაოდ კარგი სამსახური და კომფორტული ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ როდესაც დრომ და ვითარებამ მოითხოვა რაიონისთვის მისი მხარდაჭერა, ის უყოყმანოდ ჩადგა ხალხის სამსახურში თავისი ოჯახით, სამი ვაჟით. მართლაც რომ სანიმუშო მაგალითია, ხალხი მას მხარში უდგას აღმშენებლობაში.

ასევე დაუღალავად შრომობენ რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი, ვიცე-მერები მარადი ლიპარტელიანი და ბერდია ჩანქსელიანი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები დავით პირველი, მარეხ ონიანი, მევლუდ ლიპარტელიანი, მერიის აპარატი, სამსახურის უფროსები და მათი მუშაკები, საკრებულოს მოქმედი ფრაქციები, ნათლად იგრძნობა, რომ ისინი ერთიანი ძალით იბრძვიან ლენტეხის წინსვლის, სახელისა და ღირსების მოსაპოვებლად.

ასევე რაინულ ცენტრს, თითოეულ სოფლის გარემოს, სასკოლო შენობებს, მისასვლელ გზებს, სკოლამდელი აღზრდის ობიექტებს, რაიონულ საავადმყოფოს და სოფლის ამბულატორიებს, ცენტრალური ხელისუფლების, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ადმინისტრაციის, მხარის მაჟორიტარი დეპუტატის, სამართალდამცავი ორგანოების სისტემატური ყურადღება და ზრუნვა არ აკლია, რაც სახალხო დღესასწაულმა, ლენტეხობამაც აშკარად დაადასტურა.

„ლენტეხობა" დილიდან მრევლის თავშეყრითა და ჭყონდიდისა და ცაგერ-ლენტეხის მეუფე სტეფანეს ლოცვა-კურთხევით, ცნობილი ბიზნესმენისა და საზოგადო მოღვაწის ბატონ გოგი ლიპარტელიანის სახსრებით აშენებული დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის გახსნით დაიწყო. აქ იყვნენ საპატრიარქოს და საერო ხელმძღვანელობის წარმომადგენლები: რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის გუბერნატორი პარმენ მარგველიძე, აჭარის მთავრობის წარმომადგენლები, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი; მუნიციპალიტეტის მერები; სამართალდამცველები; მედიის მუშაკები, როგორც ყოველთვის, აქ იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, აღიარებული სპორტსმენი, ევროპის ჩემპიონი და სახელმწიფო მოღვაწე ბატონი დილარ ხაბულიანი.

მადლიერმა ხალხმა მადლიერების გრძნობით დალოცა ქვეყნის მომავალი, სრულიად საქართველო.

დღის მეორე ნახევარში ზეიმმა ლენტეხის მოედანზე გადაინაცვლა. რაიონი საყოველთაო ზეიმმა მოიცვა. საინტერესო სანახავი იყო მაღალმთიანი სოფლებიდან ჩამოსული ადამიანების აღფრთოვანებული სახეები. მათ შორის იყვნენ ცანას საკრებულოს თავმჯდომარე გურამ ჩარქსელიანი, ჩიხარეშის საკრებულოს თავმჯდომარე ანა ჩარქსელიანი, ჟახუნდერის – მარიამ მაღლაკელიძე, ხელედის – ანა ბენდელიანი, ჩოლურის – გერმანე ბენდელიანი, რცხმელურის – ნატო ლიპარტელიანი, ხოფურის – გოჩა ქარდავა, ლენტეხის სადაბო – გიორგი გულბანი.

თითოეულ სოფელს ჩამოტანილი ჰქონდა ლამაზად დაწნულ ფაცხებში გამოფენილი სვანეთისთვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო ნივთები, სვანური სამზარეულოს ნიმუშები, პურ-მარილი, რაც მართლაც რომ სასიამოვნო შეგრძნების გამომხატველი იყო. თითოეულ სოფელს ჩამოყვანილი ჰყავდა მხატვრული კოლექტივები, ჩოხა-ახალუხებსა და ქართულ კაბებში გამოწყობილ ქალ-ვაჟებს გვერდით ედგნენ სკოლის მოსწავლეები, ლამაზად გამოწყობილი გოგო-ბიჭები, რომლებიც ტოლს არ უდებდნენ უფროს თაობელებს... ყოველ კუთხეში ისმოდა ომახიანი სვანური სიმღერები, „მრავალჟამიერ", მზის საგალობელი „ლილეო", იფრქვეოდა ვაჟკაცური სვანური ცეკვების ცეცხლოვანი რიტმები... მოწვეული სტუმრების სუფრებთან მიპატიჟებას, პურ-მარილის დაგემოვნებას და ტრადიციულ სადღეგრძელოებს ზღვარი არ ჰქონდა. გულწრფელი პატივისცემით იგონებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც ნაადრევად ან ღვაწლმოსილნი წავიდნენ ამქვეყნიდან და ამასთან შთააგონებდნენ მომავალ თაობას, რომ წარსულის არდავიწყება და პატივისცემა ქვეყნის სიძლიერეა.

გამორჩეული იყო ეგრეთ წოდებული მხატვრული განყოფილებაც.

საზეიმოდ მოწყობილ სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ გოგი ლიპარტელიანის, ევროპის საკმაოდ ცნობილი მომღერლის და რეჟისორს, ლენტეხის მკვიდრის გია ონიანის ქველმოქმედებით მოწვეული საქვეყნოდ ცნობილი ანსამბლები: „სულიკო", „ჩვენებურები", „იბერია", მომღერლები მარიამ ელიაშვილი, მერაბ ვარდოსანიძე, ლენტეხის ანსამბლები „ლილე", „ლაგუშელა", „ლამარია", ასევე „მზენარი", – ჯუმბერ მუკბანიანის ხელმძღვანელობით, ამბროლაურისა და ცაგერის მხატვრული კოლექტივები, რომელთა რეპერტუარი მომხიბვლელად და **საკუთარი ლექსების თანხლებით მიჰყავდა ცნობილ პოეტს და სვანეთის დიდ პატრიოტ ქალბატონს ირმა ქურასბედიანს.**

დადგა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების დროც. საქართველოს ყველა მხარეს ადამიანთა ღვაწლის დაფასების და პატივისცემის თავისებური ტრადიციები გააჩნია, მაგრამ მთაში მცხოვრებ ადამიანთა მადლიერება და პატივისცემის გამოხატვა მრავლისმეტყველი და ორიგინალურია. ისინი მამა-პაპური, მთაში არსებული ტრადიციების დაცვით გამოხატავენ მათ მიმართ სიყვარულს და არდავიწყებას. თავიანთი დაუწერელი კანონებით მომავალ თაობას უნერგავენ, რომ არასოდეს არ დაივიწყონ ისინი, რომლებიც რაიონის კეთილდღეობისთვის იბრძოდნენ, იცავდნენ მათ სახელსა და ღირსებას. საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების სიაში დამსახურებულად მოხვდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთ ცნობილი, ლენტეხში დაბადებული და აღზრდილი, სახელოვანი კინორეჟისორი, მწერალი და სწენარისტი თემურ ბაბლუანი, ცნობილი მოქანდაკე ვახტანგ ონიანი, ქველმოქმედი დიმიტრი აბდუშელიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

ლენტეხის მერთან ბატონ გია ონიანთან ერთად ქალბატონი ნაირა ხაბულიანი დამსწრე საზოგადოებას შთამბეჭდავად შეახსენებდა თითოეული საპატიო მოქალაქის რაიონში გაწეულ საქმიანობაზე და მათ მიერ სახელოვნად განვლილ გზაზე, რასაც საზოგადოება, მოწვეული სტუმრები მხურვალე ოვაციებით ხვდებოდნენ, ზნეკეთილი სვანები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მადლიერების გამოხატვაში.

აი, ასე საინტერესოდ, ხალისიანად, ხალხის, სამშობლოს სიყვარულით აღტაცებულნი ბრუნდებოდნენ თავიანთ სოფლებში, საკუთარ ოჯახებში. მადლიერი ლენტეხელები წარმატებებს და ახალ-ახალ გამარჯვებებს უსურვებდნენ – საქართველოს ყველა მხარეს, სრულიად საქართველოს.

* * *

**ახალ წელს გილოცავთ, ჩემო საყვარელო ლენტეხელებო! მშვიდობის, წინსვლის, გამრავლების და აღმშენებლობის წელი ყოფილიყოს თქვენთვის და სრულიად საქართველოსთვის!**





# SOS! ასეთი სტრატეგია დამანგრეველია!


მარკ ფეიგინი

**მსჯავრდებულმა მიხეილ სააკაშვილმა წერილით მიმართა რუს ბლოგერს, მარკ ფეიგინს და მოახსენა, რომ პუტინმა ნამდვილად გასცა მისი ციხეში მოკვლის ბრძანება. მეტიც, როგორც მსჯავრდებული წერს, ამერიკელმა ტოქსიკოლოგებმა ზუსტად დაადგინეს, რომ ქართულ ციხეში მოწამლეს და ყველა სიმპტომის გამომწვევი გახდა მოწამვლა, რომელსაც, სააკაშვილის წერილის შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, ცდილობს, რომ გაუძლოს.**



# საერთაშორისო შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ – სააკაშვილი დახმარებას რუს ბლოგერს სთხოვს

**ეც იყო. ფაქტია, რომ ომი იყო, მაგრამ ეს ომი სამ დღეში დამთავრდა, მაშინ, როდესაც 90-იანებში სააკაშვილის გარეშე წელიწადზე მეტ ხანს შეძლეს ქართველებმა რუსებთან საომარი მოქმედება. ომიდან ძალიან მალე ყველა სტრატეგიული ობიექტის 90% გადაუფორმეს რუსებს. ეს დეტალები ნიშნავს იმას, რომ იბრძოლა სააკაშვილმა პუტინთან? თუ ბრძოლის**

**მარკ ფეიგინი,** რომელიც დაპირისპირებულია რუსეთის ხელისუფლებასთან და გამოკვეთილად პროუკრაინელია, მიმართვის საპასუხოდ, სოციალურ ქსელში წერს, რომ მათ აქვთ მიხეილ სააკაშვილის დახმარების გეგმა, მაგრამ დაელოდებიან საქართველოს მთავრობის რეაქციას. რუსმა ბლოგერმა სააკაშვილის მიერ მისთვის მიწერილი წერილიც გამოაქვეყნა წარწერით: **„მიხეილ სააკაშვილის წერილი ციხის საავადმყოფოდან. თუ არაფერი გაკეთდება, მიხეილ ნიკოლაევიჩი დაიღუპება“,** – წერს მარკ ფეიგინი „ტვიტერში“ და კიდევ ერთ პოსტში სააკაშვილის დახმარების გეგმაზე საუბრობს.

**„ჩვენ გვაქვს მიხეილის დახმარების გეგმა, მაგრამ დაველოდებით საქართველოს მთავრობის რეაქციას. თუ არაფერი მოხდება, მაშინ ჩვენ დავიწყებთ მოქმედებას. მაგრამ ყველა უნდა იყოს ჩართული ამ გეგმაში“,** – წერს **მარკ ფეიგინი** „ტვიტერში“.

სააკაშვილი-ფეიგენის სოციალური ქსელით მიმოწერების პარალელურად, რა თქმა უნდა, ისევ აქტუალური გახდა ექსპერტიზის ჩატარება. სააკაშვილი და დაცვის მხარე ცდილობენ დაარწმუნონ საერთაშორისო საზოგადოება, რომ სააკაშვილი ქართულ ციხეში მოწამლეს, მაგრამ უარს ამბობს ბიოლოგიური ნიმუშების აღებაზე. **შალვა ხაჯაპურიძე** ამბობს, რომ სააკაშვილი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს უნდობლობას უცხადებს, შესაბამისად, სახელმწიფოს შეთავაზეს ჩამოიყვანონ ევროპიდან ან ამერიკიდან ავტორიტეტული საექსპერტო ბიუროს ექსპერტები და კვლევა უცხოეთში ჩაატარონ.

**„ვინაიდან ყოფილი პრეზიდენტის ციხეში შესაძლო მოწამვლასთან დაკავშირებითა ეჭვი არსებობს, ისინი სახელმწიფო უწყების ექსპერტიზას უნდობლობას უცხადებენ. გახსოვთ, ერთხელ უკვე აიღეს სისხლის ანალიზი, ჩვენ ნებართვა მივეცით, გაირკვა, რომ თურმე, ეს სისხლი საკმარისი არ არის. თვითონ ვერ იყვნენ ჩამოყალიბებული, ახლა ჩამოყალიბებული აქვთ პოზიცია სამხარაულის საექსპერტო ბიუროსთან, ამაზე ჩვენ უარი რამდენიმე მოტივით ვუთხარით და ჩვენი ალტერნატივა შევთავაზეთ. ნიმუშების აღებაზე უარს არ ვეუბნებით.**

**ჩვენ მიერ მოპოვებული საექსპერტო დასკვნის მიხედვით, სააკაშვილის მოწამვლა პენიტენციურ დაწესებულებაში, ანუ სახელმწიფო დაწესებულებაში მოხდა, თუკი, ეს სახელმწიფო დაწესებულებაში მოხდა, სახელმწიფომ ექსპერტიზა როგორ უნდა ჩაუტაროს?! შესაბამისად, შევთავაზეთ, ევროპული სახელმწიფოების, ასევე აშშ-ს რომელიმე ავტორიტეტული საექსპერტო ბიუროდან ექსპერტები ჩამოიყვანონ, მათ აიღონ ნიმუშები, ჩემ თვალწინ დალუქონ, ამას დაასწრონ ჩვენი ექსპერტები, წაიღონ და უცხოეთში ჩაატარონ. საგამოძიებო მოქმედებაზე უარი არ გაგვიცხადებია, უბრალოდ, უნდობლობას ვუცხადებთ სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებას, რომლის ხელმძღვანელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერი“,** – აცხადებს **შალვა ხაჯაპურიძე.**

სააკაშვილის და მისი დაცვის სტრატეგია რომ მსჯავრდებულის საპატიმროდან ვადაზე ადრე გათავისუფლებაა, ეს კარგად იცის პარლამენტის თამჯდომარემ. შესაბამისად, **შალვა პაპუაშვილის** გან-



ცხადებით, ექსპრეზიდენტის ადვოკატი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს ავრცელებს. როგორც პაპუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამ ყველაფრის მიზანია, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობა შეირყეს.

**„ამ ყველაფერში თან უნდათ, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების, სხვადასხვა დაწესებულებების მიმართ ნდობა შეარყიონ, არადა, თავად იმ ადვოკატებს, რომლებიც ჩართულები არიან, დარწმუნებული ვარ, თავისი პროფესიული კარიერის მანძილზე მრავალჯერ მიუმართავთ სამხარაულის ეროვნული ბიუროსთვის და მრავალჯერ მათ ექსპერტიზაზე დაყრდნობით პროცესები უწარმოებიათ.**

**რაც შეეხება მოწამვლას, ჩვენ ვნახეთ, დილით ამბობს იგივე ადვოკატი, რომ მოწამლეს, საღამოს უარყოფს, რომ – არა, არ მოწამლეს. დილით ამბობს მისი რომელიმე მეგობარი, ან იქნება სტატია თუ რეპორტაჟი ამა თუ იმ ტელევიზიაში, რომ სააკაშვილი მოწამლეს, საღამოს თავად სააკაშვილი ამბობს, რომ არავის მოუწამლია - წარმოუდგენელია!!! დასკვნები, რომელიც ათას გვერდზეა, თითქოს საზოგადოებას შინაარს არ აცნობენ. პირდაპირი მანიპულაცია იყო ანალიზში, როდესაც მითითებული იყო რაღაც მაჩვენებელი და არ იყო მითითებული, რა ითვლებოდა ზედა და ქვედა ზღვრად“,** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, **არჩილ თალაკვაძის** განცხადებით, სამხარაულის ბიურო არის საერთაშორისო ქსელის ნაწილი და დღეს, როდესაც შალვა ხაჯაპურიძეს არ აწყობს სამხარაული, უკვე აღარ არის სანდო?!

**„სამხარაულის ბიურო იმავე სტანდარტებს აკმაყოფილებს, რასაც საერთაშორისო ლაბორატორიები ევროპაში, ევროპული ლაბორატორიები თუ უზიარებენ სამხარაულს მონაცემებს და პირიქით, ერთმანეთს თუ ენდობიან, მათ შორის საერთაშორისო ოპერაციებში, დღეს, როდესაც ბატონ ხაჯაპურიძეს არ აწყობს სამხარაული, არ არის სანდო?! ასეთი მტკიცება არასწორია“,** – განაცხადა **არჩილ თალაკვაძემ.**

სააკაშვილის მიმართვა რუსი ბლოგერისთვის და მისი პასუხი, რომ აქვთ სააკაშვილის გათავისუფლების სპეციალური გეგმა; ადვოკატის განცხადება, რომ სააკაშვილი არის მოწამლული, მაგრამ არ ენდობიან სახელმწიფოს მიერ დანიშნულ ექსპერტიზის ბიუროს, ანალიტიკოსის **დავით ზარდიაშვილის** შეფასებით, მიმართულია ქვეყანაში დესტაბილიზაციისაკენ, რომ ხელისუფლების მიმართ გაჩნდეს უნდობლობა დასავლეთის მხრიდან.

**„უკვე საერთაშორისო შეთქმულების სახეს იღებს ეს ყველაფერი. არა მარტო სააკაშვილი და ჩვენი ნაცები, არამედ მათი საზღვარგარეთელი პარტნიორები და მეგობრები ერთად უტევენ ხელისუფლებას, ქვეყანას, სახელმწიფოს. ფაქტობრივად, ისინი ითხოვენ ისეთ რაღაცას, რაც ყოვლად წარმოუდგენელია – ითხოვენ სამართლის უარყოფას და მათი ნების დაყოლას, რომ გაანთავისუფლონ სააკაშვილი. გამორიცხულია ეს მოხდეს!..**

**თუ ეს გააკეთა ხელისუფლებამ და სააკაშვილი კანონის გვერდის ავლით გაანთავისუფლა, ამას მოჰყვება დიდი არეულობა ქვეყანაში და, საბოლოო ჯამში, მოხდება დესტაბილიზაცია. ერთადერთი, რაც ახლა ხელისუფლებას ევალება, მტკიცედ უნდა იდგეს და არ დაუშვას, რომ კანონის გვერდის ავლით წარმატებას მიაღწიოს ამ შეთქმულებამ, რომელიც სახელმწიფოს სტაბილურობის წინააღმდეგ არის მიმართული“,** – აღნიშნა **დავით ზარდიაშვილმა.**

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ რუსი ბლოგერისთვის მიმართვა შემთხვევითი არ არის. ფეიგინი ძალიან დიდი ხანია კრიტიკულია პუტინის მიმართ და ასევე მხარს უჭერს უკრაინას. მისი თქმით, ასეთი ადამიანისთვის მარტო ზელენსკის ნათქვამიც დასაჯერებელია, რაც არაერთხელ თქვა ზელენსკიმ და ახლა გაგრძელდება ფეიგენის მხიდან. ამიტომ, სააკაშვილის მიერ ნახსენები ვერსია, რომ მოწამლა პუტინმა, სრულიად დამაჯერებელი ვერსიაა ფეიგინისთვის.

**„გავიხსენოთ ზელენსკის ბოლო შეფასება, სააკაშვილი აღქმული არის როგორც პუტინთან ბრძოლის სიმბოლო. ზედაპირულად ასიმიტაცია იყო? დგება ეს საკითხი, ოღონდ არ დადგება ეს საკითხი ზელენსკის, ფეიგინის და მსგავსი ფიგურების მიერ“,** – აცხადებს პოლიტოლოგი.

რაც შეეხება ექსპერტიზის მიმართ გამოხატულ უნდობლობას, პოლიტოლოგის შეფასებით, ამ ლოგიკით ნებისმერ პატიმარს შეუძლია დააყენოს უნდობლობის საკითხი, რადგან ციხე სასიამოვნო არავისთვის არ არის. შესაბამისად, სასამართლო და ისინი, ვინც ამ სასამართლო სისტემის ნაწილებს წარმოადგენენ, ექსპერტიზის ჩათვლით, რა თქმა უნდა, შეიძლება დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.

**„ასეთი სტრატეგია დამანგრეველია. ფაქტობრივად, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეძლებს სამართალწარმოებას ასეთ პირობებში. უნდობლობა სახელმწიფოს მიმართ ეს კიდევ ცალკე თემაა. უბრალოდ, რახან დაიწყო დასავლეთმა სააკაშვილის დაცვა, უნდობლობა სახელმწიფოს მიმართ არა მარტო პატიმრის, არამედ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდანაც ჩანს. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ უკრაინას, რომელიც ხაზს უსვამს, რომ სააკაშვილი რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში, ომში ჩაებმებოდა. იგივე გზა გრძელდება – უნდობლობის მთელი კამპანია არის შედგენილი, რაც ფაქტობრივად, პოლიტიკური კამპანია, პოლიტიკური ვერდიქტია, რომ არ უნდა ვენდოთ და გავაგრძელოთ ბრძოლა ამ პათოსით, სანამ მოვახერხებთ. აქ არის რამდენიმე მომენტი, ამ უნდობლობის პროცესში საკვანძო ფიგურა გამოდის ზელენსკი, რომელიც პოროშენკოს მემკვიდრე გახდა იმაში, რომ გადაიბარა „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკოსების მთელი ჯგუფი სააკაშვილის ჩათვლით. ეს ნაბიჯი იყო უპატივცემულობა ქართული სახელმწიფოს მიმართ. აქედან იწყებოდა ის, რომ უკრაინამ პოლიტიკურ დაპირისპირებაში ერთ-ერთის მხარე დაიჭირა, კერძოდ – „ნაცმოძრაობის“. როდესაც უცხოეთის რომელიმე მხარე შიდა დაპირისპირებაში რომელიმე მხარეს იჭერს, მერე ბუნებრივია, რომ ეს პოლიტიკური ჯგუფი დაიწყებს საგარეო მექანიზმების და ბერკეტების გამოყენებას.**

**რასაც ვხედავთ კიდეც. „ნაცმოძრაობის“ ეს ნაწილი, რომელიც სააკაშვილის გათავისუფლებას ცდილობს, მთლიანად საგარეო პოლიტიკაზე არის ორიენტირებული. „ნაცმოძრაობამ“ შიდა არენაზე ბრძოლას თავი დაანება და თავისი მიზნების მისაღწევად უცხოეთს იყენებს. ამ სტრატეგიის ნაწილია ისიც, რომ განაცხადონ – არ ვენდობით სახელმწიფოს და ვენდობით უცხოელ ექსპერტებს“,** – აღნიშნა **რამაზ საყვარელიძემ.**

**თამთა ქარჩავა**

# მიშის წელიწადი...



**(მესამე გვერდიდან)** ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ზომა და წონა არაფერში ვიცით, არც სიყვარულში და არც სიძულვილში. ამის ცხოველმყოფელი დადასტურებაა საქართველოს მესამე პრეზიდენტის გარშემო ატეხილი ქარიშხალი, ქარაშოტი, ქარბორბალა.

ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი საქართველოში შემოიპარა არაჟნის კონტეინერში შეჩურთული. შემოიპარა არა ნოსტალგიით გატანჯული და დასნეულებული, არამედ, აშკარად გამოკვეთილი უკუღმართი, სხვათა მიერ მოფიქრებულ-გაანგარიშებული მიზნით, მოეხდინა ახალი რევოლუცია, რათა ჩვენი ქვეყანა მომზადებული შეხვედროდა მომავალ ომს უკრაინაში, ანუ მისთვის (მოძმე უკრაინისთვის) შეემსუბუქებინა ომის სიმძიმე საკუთარ მიწაზე სანგრების გათხრით.

ეს არ იყო შემოპარვა, ეს იყო შემოგზავნა (ვინ იცის, იქნებ სულაც მიშას ნების წინააღმდეგ, იძულებით!), მაგრამ უმალ გაბაწრეს.

ამ ამბის შემდეგ დღე „მიშათი“ იწყება და „მიშათი“ მთავრდება – ტელეგადაცემები, ზეპირსიტყვაობა, აქციები, საუზმიდან სადილობამდე შიმშილობები... ეს ყველაფერი უკვე პათოლოგიად იქცა და გასცდა საქართველოს ფარგლებს: აქეთ ცეცხლწაკიდებული კიევი გვირჩევს პრეზიდენტ ზელენსკის დონეზე, იქეთ ევროპარლამენტი გვბომბავს რეზოლუციებით, სულ იქეთ ამერიკელი ლობისტები იბოხებენ ხმას, საქართველოს მესამე პრეზიდენტი კვდება, უფრო სწორედ, ფაქტობრივად, უკვე მკვდარია და საზღვარგარეთ გაუშვით სამკურნალოდო, თორემო...

იმათი შემხედვარე, სამამულო ოპოზიცია ხომ სულ დასაბმელი გახდა, ხან რას ჩხიბავს, ხან – რას. ამ ჩხიბაობაში ყურებამდე არიან ჩაბმულნი „სწრაფად პროგრესირებადი დემენციით“ საბედისწეროდ შეპყრობილი ავადმყოფის დედა და სამივე ცოლი – უკვე გაურკვეველი სტატუსის მქონე ჰოლანდიელი ყოფილი ჩვენი პირველი ლედი, თვითგამოცხადებული უკრაინელი პოლიტიკოსი და ულიარებელი ქართველი მომღერალი... მიტოვებულმა და შეურაცხყოფილმა ქალბატონმა სანდრა რულოვსმა, კარგა ხანს გმირულად რომ ითმინა ხან ერთი მეტოქის მცხუნვარე განცხადებები მიშასთან რევოლუციურ-სამიჯნურო თანაცხოვრების შესახებ, ხან მეორის ატატებული ჩვილის ტიტინი „სად ხალ, მამიკოო“, ბოლომდე ვერ გაუძლო თავისი კანონიერი სამეუღლეო უფლებების ასე უკუღმართად რბევას და რქებით ეძგერა მიშას მტრებს.

რაც მართალია მართალია, ქალბატონმა გიული ალასანიამ მართლაც გამოიღო ხელი. სოლიდური ამერიკული ლობისტური კომპანია დაიქირავა და მთელ მსოფლიოს თვალებზე ააფარა „წამებული“ შვილის „ჯვარცმის“ ფირმანი, გაოგნებულ ევროპას და ამერიკას ნიაღვარად გადააფრქვია ყალბი პუბლიკაციების ნიაღვარი.

დედის გულმა, სხვათაგან განსხვავებით, მალევე ამოიცნო თავისი ერთას ოცამდე დიაგნოზს შორის მთავარი, ძირითადი: მიშას არ სურს ციხეში ჯდომა, არ მოსწონს, ვერ ეგუება იმას, რომ ვერ ხედავს ცას, მზეს, მწვანე ბალახს და შეყვითლებულ ფოთლებს, რომ შეზღუდული აქვს სამოქმედო არეალი, არ ჰყავს აუდიტორია (არადა, მისი გამოსობით, დღეს მიშაში მხოლი რამდენი პატიმარი, და არა პატიმარი, ვერც ხედავს და ვერც ველარასოდეს დაინახავს ცასა და მზეს!)... შეიძლება სწორედ დედის მიხვედრილობის, მოვლენათა ოსტატურად დალაგების ალღოს შედეგი იყო მთელი ქვეყნიერებისთვის მომაკვდავი მიშას წარმოჩენა სასამართლოზე: ეკრანზე იჯდა და ავად იყურებოდა რამდენიმე დღის წვერგაუპარსავი, თმააბურძგნული და, ალბათ, მთელი დეკემბრის განმავლობაში დაუბანელი კაცი და უკრაინულად უბნობდა.

„დემენცია“ აშკარად იყო წარმოჩენილი, არადა, ხალხმა რატომღაც მართებულად სიმულაციად აღიქვა. დემენცია იყო, ბატონო, დემენცია. უფრო სწორად, შორიდან სიმულაცია ჩანდა, ახლოდან კი დემენცია ყოფილა!..

ამ დემენციის ნიღბის ბრალია, რომ მიშისტებს არაფრის და არავისი არ სჯერათ, თვით ერთმანეთისაც კი. ამიტომ არის ახლა ნაციონალისტურ პარტიაში ძაღლი რომ პატრონს ვერ ცნობს – დაწუნებული თავმჯდომარის ნიკა მელიას შემცვლელის არჩევაში ერთმანეთს ხოცავენ. მათი საქმე სწორედ ისეა, როგორც ზღაპარში: მარჯვნივ წახვალ, დაიღუპები, ისევ მელიას შეეყრები, მარცხნივ წახვალ, უარესი დაგემართება – ლევან ხაბეიშვილი შეგრჩება ხელში, პირდაპირ წახვალ, ღმერთო, შენ გვიშველე და ნონა მამულაშვილი თუ გიორგი მუმლაძე გაგიკეთებენ ჰიპნოზს...

და მაინც!

საქართველოში დღეს არსებული აშკარად გამოხატული საზოგადოების ორად გახლეჩვისა და ურთიერთმტრობის მიუხედავად, 2022 წელს ხელისუფლებამ მოახერხა ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება, თუმცა, მას აშკარად უბიძგებდნენ ომში ჩაბმისკენ გარეული თუ შინაური „მოკეთეები“. ეს ჩვენი ხელისუფლების უმთავრესი, დიდი გამარჯვებაა;

აშკარაა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, სწორხაზოვანი და განუხრელი;

ახლახან ხელი მოეწერა ოთხმხრივ (აზერბაიჯანი-რუმინეთი-უნგრეთი-საქართველო) ხელშეკრულებას შავი ზღვით, აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით, ევროპისთვის სადენით ელექტროენერგიის მიწოდების შესახებ, რაც ჩვენს ქვეყანას ეკონომიკურთან ერთად დიდ პოლიტიკურ სარგებელსაც მისცემს და იქნებ ევროკავშირის კარის შეღებაც გაგვიადვილოს. მე უმთავრესები ვახსენე, თორემ სხვებიც ბევრია, გასულ წელს მოგებული და შემომატებული. ეს სასიკეთო პროცესი უთუოდ გაგრძელდება და განმტკიცდება, თუ უკრაინაში დანთებულმა ხანძარმა, რომელიც ფაქტობრივად უკვე იქცა ნატო-რუსეთის ომად, გვაცალა! მაგრამ ვიყოთ ოპტიმისტები!

**იმედი ვიქონიოთ, რომ კაცობრიობას ეყოფა გონიერება მესამე მსოფლიო ომამდე არ მიიყვანოს საქმე.**

**იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველები ვიპოვით ერთმანეთთან მისასვლელ გზას. უბრალოდ, აღარ შეიძლება ისე გაგრძელება, როგორც იყო და არის. ახალ წელს გილოცავთ ყველას! ბედნიერებას და სიხარულს, ერთმანეთის სიყვარულს გისურვებთ!**

**ალეკო ასლანიშვილი**

## დავით მაღრაძე:
# ილიამ სამი საუნჯე დაგვიტოვა – „მამული, ენა, სარწმუნოება“, სააკაშვილი სამივეს საჯაროდ გაემიჯნა



**ილიამ სამი საუნჯე დაგვიტოვა – „მამული, ენა, სარწმუნოება“ და სააკაშვილი სამივეს საჯაროდ გაემიჯნა. სარწმუნოებასთან მისი გამიჯვნის კადრები ახსოვს ქართველ საზოგადოებას. მამული, საქართველოს მოქალაქეობა, ფეხქვეშ გათელა, სასამართლოზე ქართულ ენას გაემიჯნა და თარჯიმანი დასჭირდა,** – ამის შესახებ „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში პოეტმა დავით მაღრაძემ განაცხადა.

როგორც მაღრაძე აღნიშნავს, ამ ხელისუფლების დასამხობად განსაკუთრებული მგზნებარებით ის ხალხი აქტიურობს, რომელიც ვითომ საბჭოთა მენტალიტეტით იყო და არის შეწუხებული.

**„რაც შეეხება სააკაშვილის მხარდამჭერებს, ამ ხელისუფლების დასამხობად განსაკუთრებული მგზნებარებით ის ხალხი აქტიურობს, რომელიც ვითომ საბჭოთა მენტალიტეტით იყო და არის შეწუხებული, სინამდვილეში როგორც კი სააკაშვილმა 21-ე საუკუნის საბჭოთა რეპრესირებული მანქანა გააცოცხლა, ჯერ ამ მანქანას “ეხახუნა“, მერე შეაქო... თავიანთი თანამშრომლობით რეჟიმისგან გამეტებული ხალხი გაწირეს და ახლა საკუთარი ბიოგრაფია რომ “გააპრავონ“, ამ ხელისუფლებისგან ნებადართულ სიმამაცეში თვალების ბრიალით, ხმალამოღებული გადაეშვა. როგორც წესი, მშვიდობის იმას რცხვენია, ვისაც ბრძოლის თავი არა აქვს. ამის საილუსტრაციოდ გავიხსენებ დიდი ქართველი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის შეგონებას – ჭკუით, ქართველებო! როდესაც აფხაზეთის ომი დაიწყო, მისი ვაჟები სრული შემადგენლობით იბრძოდნენ. უფროსი, იმ ომში გმირულად აღესრულა. იმ მოღვაწეების შვილები კი, რომლებიც დღენიადაგ იარაღისკენ მოუწოდებენ ახალგაზრდებს, არც აფხაზეთში უნახავს ვინმეს და არც სამაჩაბლოში, არსად, სადაც თავდადება იყო საჭირო“** – აცხადებს დავით მაღრაძე.

# ქრონიკულ და ონკოლოგიურ წამლებზე ფასები იკლებს

**2023 წლიდან სახელმწიფო, მედიკამენტის ღირებულების იმ მაქსიმალურ ზღვარს დაადგენს, რომელზე მაღალ ფასადაც წამლების რეალიზაცია აიკრძალება.**

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, პირველი იანვრიდან ცვლილება 1100-ზე მეტ, ქრონიკულ და ონკოლოგიურ მედიკამენტს შეეხება. ზურაბ აზარაშვილმა აღნიშნა, რომ ფასების რეგულირება 2 დონეზე მოხდება.

**„მაქსიმალურად გვინდა დავაზღვიოთ, საერთაშორისო ბრენდების და ორიგინალი მწარმოებლების ყოფნა ქვეყანაში. ჩვენ გავითვალისწინეთ ყველა სხვა ქვეყნის გამოცდილება, ამიტომ 2 დონეზე განვსაზღვრავთ ფასს. ეს იქნება, როგორც ორიგინალი მედიკამენტების, ასევე მათი გენერიკების ღირებულების მაქსიმალური ჭერი“,** – განაცხადა ჯანდაცვის უწყების ხელმძღვანელმა. მისი თქმით, ფასები საბითუმო და საცალო დონეზე დარეგულირდება. საცალო ქსელს, წამლის ღირებულების შესაბამისად, გარკვეული პროცენტული ფასნამატის გაკეთება შეეძლება.

# საუკეთესი დირექტორები

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა 2022 წლის საუკეთესო დირექტორის დაჯილდოების ცერემონია გახსნა, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და კონკურსის მონაწილეებს გამარჯვება პირადად მიულოცა.**

მიხეილ ჩხენკელმა საუბრისას სკოლის დირექტორთა მხარდაჭერის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. მინისტრის თქმით, დირექტორებს, როგორც სკოლის გუნდის ლიდერებს, უდიდესი წვლილი შეაქვთ სასკოლო კულტურის უზრუნველყოფის საქმეში, რაც, თავის მხრივ, მოსწავლეთა აკადემიური განვითარების უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს.



2022 წლის საუკეთესო დირექტორის ტიტულის მფლობელი ქალაქ ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მორის დანდურიშვილი გახდა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა საპატიო ჯილდო – საუკეთესო დირექტორის სამკერდე ნიშანი გადასცა.

მეორე ადგილი ქალაქ თბილისის მე-200 საჯარო სკოლის დირექტორმა მარინე უჯმაჯურიძემ დაიკავა, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუმასტურის საჯარო სკოლის დირექტორი რუსუდან ბორჩაშვილი გახდა.

# კახეთში წლეულს ათასამდე პროექტი შესრულდა...

**„შედგა შემაჯამებელი შეხვედრები კახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში. წელს, ინფრასტრუქტურულ პროექტებში, კახეთის რვავე მუნიციპალიტეტში ინვესტირებული იყო, დაახლოებით, 160 მილიონი ლარი, შესრულდა 990 პროექტი. წლის განმავლობაში კახეთის რეგიონში დაიგო 115 კილომეტრი გზა. ასევე, აღსანიშნავია სპორტული ინფრასტრუქტურა, სადაც რეაბილიტაცია ჩაუტარდა, დაახლოებით, 100 ობიექტს, ზოგიერთ შემთხვევაში – აშენდა ახალი შენობები. აშენდა 70 ახალი ფეხბურთის მინი სტადიონი, 60-მდე ბაღს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, რამდენიმე აშენდა კიდეც. ხაზგასასმელია, რომ მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 18 სკოლაში“,** – განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ილია ბეგიაშვილმა კახეთის რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების დათვალიერების შემდეგ.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, კახეთის რეგიონისათვის 2022 წელი მასშტაბური იყო როგორც პროექტების რაოდენობის, ისე ბიუჯეტის მხრივ. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უწყებების მიერ უშუალოდ განხორციელებული პროექტების გარდა, რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტმა მოცულობითი პროექტების დაწყება შეძლო. **ამ ეტაპზე, პირველადი დაფინანსების ფარგლებში, რეგფონდში მუნიციპალიტეტების მიერ 39 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების 75 პროექტია დაგეგმილი 2023 წელს, რაც ეტაპობრივად გაიზრდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილი პროექტებით, ასევე, სხვადასხვა ფონდებიდან მოზიდული დაფინანსებით.**



ვანო ჩხიკვაძე

# აბა ფხიზლად, იწყება საახალწლო ზღაპარი!..

## საყმაწვილო ლექსები

### საახალწლო ზღაპარი

მოდის ვერცხლის მარხილით
დედოფალი ზამთარი,
თეთრი ფუტკრის ნაყარი –
მოსდევს ფიფქის ამქარი.
მოდის, მოაწკრიალებს
ღოლღოების საყურეს,
ჩქარა, ღუმელს შეუნთეთ,
დარაბები დახურეთ.
ხოდაბუნებს, ახოებს,
შემოდგომის ნათესებს,
სულშებერილ ტყისპირებს
უცებ გადაათეთრებს.
ბეჭდის თვალში ციმციმებს
ალმასი და კამეა,
შევეგებოთ დედოფალს –
ახალი წლის ღამეა.
გაიშლება ათასი,
თეთრი ცხენის ფაფარი.
მოხუცი მუხლმაგარი-
თოვლის პაპაც აქ არის.
სიყვარულიც აქ არის და,
სიხარულიც აქ არის,
აბა, ფხიზლად, იწყება
საახალწლო ზღაპარი!

5.XI.2022

### თოკო ზღვისპირელი

ჯერ არ იცის იქამდე
რა მანძილი ძევს,
ჯერ არ გაურუჯია
აფხაზეთის მზეს.
არ უნახავს დაისი,
როგორ კოცნის ზღვას,
ტალღა მხრებზე თოლიებს
როცა დაისვამს.
ჯერ ისეთი ჩვილია,
მაგრამ უკვე, დღეს,
პატარა საგულეში
დიდი გული ძგერს.
ისე კარგი ვინმეა
ანაცვალებ თავს,
სოხუმმა რომ იცოდეს
აქ რა ბიჭი ჰყავს!..

### პანდა

ავად გახდა პანდა
ვერ გაღეჭა პანტა.
არ მიიღო ხემსი,
დასჭირდება ნემსი.

რა უშველის პანდას,
პიტნის ჩაი, ანდა,
ჩავუტარეთ ტესტი-
პანდემიას ჰგავდა.
ახლაც არ მოეშვება
ფეხშიშველი ტანტალს?
დაუდგინეს მიზეზი –
თათებს არ იბანდა!

### მოუსვენარი

ვინ არ იცის, ღობემძვრალა
ჩიტი, ყველგან რომ დაძვრება,
მისი მსგავსი, თოკო ბიჭი,
გვიან წვება,
ადრე დგება.

გაიღვიძებს და მაშინვე
სახლშია თუ ეზოშია,
აქ შეძვრება,
იქ შეძვრება,
ყველა იმის ძებნაშია.

გვემალება, დავეძებთ და,
აღარა გვაქვს მუხლში ძალა,
ჰოდა, იცით, თოკოს ნაცვლად,
რა დავარქვით? –
თოკომძვრალა!

01.09.2022

### თოკოკინა

ყველამ იცის, თავის ბინა,
სულ თან დააქვს ლოკოკინას.
თუ არ სწყურია და შია,
რა თქმა უნდა, ბინაშია.

ნიჟარიდან ადრიანად
მოცანცარე თავს გამოყოფს,
ნაწვიმარზე, სველ და
ლორთქო,
ცმუცნის ბალახსა და
ფოთოლს...
თოკოც ლოკოკინას ბაძავს,
აღარ დარბის აცა-ბაცა.
სამალავი გაიკეთა,
იქა ჭამს და იქა სძინავს,
ვერ გავიგეთ, ბოლო-ბოლო,
თოკოა თუ თოკოკინა!

19.09.2022

### თაგვები

ელისომ და გერისომ
ორმო ნახეს ქერისო,
უზრუნველი ცხოვრება,
თქვეს, ახლა ჩვენც გველისო.
ჰკრეს ბუკსა და ნაღარას
ელისომ და გერისომ,
ქერით სავსე ამბარი
ჩვენს მუცლებს უშველისო.
სხვებსაც რომ არ მიეგნოთ,
საბძელის ხუხულაში,
წააფარეს მაშინვე
ორმოს ბალახბულახი.
განმარტოვდნენ, კუდები
უცებ გადააბესა,
სორო გამოუკეტეს
მეგობარს და ნათესავს.

იმდენი აოხრიათ,
შვილთაშვილებს ეყოფათ,
სანატრელი რაღა აქვთ? –
სათაგვეთის მეფობა!
მაგრამ ნატვრის ახდენა
თაგვებს ვინ დააცალა –
თურმე ორმო პატრონმა
ერთ ღამეში გაცალა.
თან ხაფანგი დაუგო
კუდგრძელას და ნაცარას –
ორმოს ბალახბულახი
ისევ ზედ წააფარა.

როდესაც მიაკითხეს
ფეხაკრეფით, ცანცალით,
ორმოში აღარ იყო
წამლად ერთი მარცვალიც.
ზურგზე მოკიდებული
დაჩუტული გუდებით,
მაშინვე გადაეშვნენ,
დამშეული ქურდები.
ელისომ და გერისომ –
ვთქვათ, რაც მოხდა, მართალი –
იმ ცარიელ ორმოში
მოადინეს ზღართანი.

### ზამთრისპირი

აბა ვინ წარმოიდგენდა
თუ ასე მალე მოთოვდა,
ეზოში ფისო თამაშობს,
ყინვით გაფიჩხულ ფოთოლთან



გაუშვა სუსხი საღამომ,
ნისლის აფრები გაშალა,
მცივაო, სადღაც წუწუნებს
ბეზერი ყვავი, ჩანჩალა.
ბუმბული წამოექოჩრა
ხმაჩახრინწულს და ფრთაშავას,
რიკიმ თუ არ შეიფარა,
რა ეშველება ყვანჩალას?!

2022

### დილა უღრანეთში

ყვავი დადის სკუპ-სკუპით,
ლოკოკინა – ხოხვით,
სადაც წავა თან დააქვს
თავის მყუდრო ქოხი.
თუკი მიუკაკუნებ
თავს გამოყოფს უმალ –
თვითონაც ძლივს ეტევა,
ვერ მიიღებს სტუმარს.
ხეკაკუნა კოდალამ
თუ დაუკრა ტაში,
ნეკერჩხალი ფერადი
ფოთლის კარავს გაშლის.
მხოლოდ ახლა გავიგე –
სიმართლეა ნაღდი,
თურმე, ტყეში ჩიტებსაც
აქვთ „საბავშვო ბაღი“
მოჰყავთ თავის შვილები
მოლაღურებს, გვრიტებს,
„ბაღის“ გამგე ბუზღუნებს:
– ბარტყებს ვეღარ ვიტევთ!
გნიასებენ საუზმეს,
ვიდრე გაუშლიან:
– წივ-წივ, წივ-წივ, წიავ!
– მშია, მშია, მშია!
ქველმოქმედებს საჩუქრად
მოაქვთ ამანათი,
ნისკარტებს დაიტკბობენ
მარწყვის ლიმონათით.
მიუჯდება ინსტრუმენტს
ჩხიკვი შავი ფრაკით,
მღერიან და ცას სწვდება
ჟრიამული მათი.
არ იტყვიან მადლობას,
არ იხდიან ბოდიშს, –
ჯავრობს ყვავი, შეხედეთ
რა თაობა მოდის!
უღრანულს თაკილობენ,
გამილაყეს თავი,
უცხოურად სწავლობენ
ყრანტალს, ჭახჭახს, ჩხავილს!
ყვაო, ყვაო, ბუზღუნა,
რა ვქნათ, სულ სხვა დროა,
სავსე მთვარე ჩავიდა,
მალე მზე ამოვა.
უღრანეთს რომ გაათბობს –
არ დარჩება ვალში,
მადლობას გადაუხდის
მზეს გალობით შაშვი.

2022

## „ახალი წლის დღეები საქართველოში“

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაწყებული საახალწლო ღონისძიებები „ახალი წლის დღეები საქართველოში“, ქვეყნის**



**63 ქალაქში დაიწყო და 13 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება. ყველა მუნიციპალიტეტში მოწყობილია საშობაო ბაზრობები, გამოფენა-გაყიდვები, საბავშვო გასართობი სივრცეები.**

ტერიტორიაზე განთავსებულია ხის საახალწლო სახლები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები. საახალწლო ღონისძიებები ბოლნისში, ნინოწმინდაში, ოზურგეთში, მესტიასა და ქუთაისში გაიმართა.

## ბათუმში, ევროპის მოედანზე...

**ევროპის მოედანზე შეკრებილ მოქალაქეებს ბათუმის მერმა, არჩილ ჩიქოვანმა მიმართა და ბედნიერი და წარმატებული მომავალი წელი უსურვა.**

გაიმართა გალა-კონცერტი, რომლის დროსაც საზოგადოების წინაშე ზვიად ბოლქვაძე ბენდთან ერთად, პროექტ „რანინას“ მონაწილეებთან ერთად წარსდგა. ამასთან, გაიხსნა საახალწლო გამოფენები და ბაზრობები. ბათუმში საახალწლო ღონისძიებები 7 იანვრის ჩათვლით გაიმართება, 31 დეკემბერს ბათუმში „ევროპის მოედანზე“ გრანდიოზული გალა-კონცერტი ჩატარდება.

* * *

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარის, თორნიკე რიჟვაძის ინიციატივით, წინასაახალწლოდ აჭარაში მცხოვრებ უკრაინელ ბავშვებს ბათუმის თოჯინების თეატრში უმასპინძლეს.**

უკრაინელი მოსწავლეები ომის დაწყების შემდეგ ბათუმში იმყოფებიან და სწავლას ქართული სკოლის უკრაინულ სექტორში აგრძელებენ. საახალწლო სპექტაკლს ფონდის „იალქანი“ ბენეფიციარებიც ესწრებოდნენ. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მეუღლემ, მაგდა მამულაძემ ბავშვებს საახალწლო საჩუქრები გადასცა. ბათუმის თოჯინების თეატრში საახალწლო სპექტაკლი „ზურმუხტქალაქის ჯადოქარის“ ჩვენება გაიმართა.

## ფეიერვერკები ოზურგეთში

ოზურგეთში ქალაქის მთავარი ნაძვის ხე საზეიმოდ აინთო. შეკრებილ საზოგადოებას დამდეგი შობა-ახალი წელი ოზურგეთის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ, პარლამენტის წევრმა, გურიის მაჟორიტარმა დეპუტატ-

# ქართველი პოეტების ხმა საფრანგეთში

2022 წლის 19 დეკემბერს ფრანგული რენესანსის ოფიციალურ საერთაშორისო საიტზე გამოქვეყნდა სტატია – **„პოეტების ხმა საქართველოდან“**, სადაც ფრანგულ ენაზე წარმოდგენილია ვაჟა ოთარაშვილისა და ეკა კვანტალიანის პოეტური დუეტი,რაც დიდი პატივი და აღიარებაა ქართველი პოეტებისა.ასევე ამა წლის 22-24 ნოემბერს მათ წარმატებულად მიიღეს მონაწილეობა მე-10 საერთაშორისო ფრანკოფონიის კონფერენციაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, სადაც წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 14 ქვეყანა.

პოეტები დიდ მადლობას მოახსენებენ გულისხმიერებისა და მხარდაჭერისთვის ფრანგული რენესანსის საერთაშორისო პრეზიდენტს, პროფესორ დენის ფადას, ფრანგული რენესანსის გენერალურ მდივანს, ბატონ კრისტიან ოლივს და ფრანგული რენესანსის პრეზიდენტს საქართველოში, პროფესორ მზაღო დოხტურიშვილს.

ასე აფასებს მათ პოეზიას ბატონი დენის ფადა: **„თქვენი პოეზია მშვენიერია... ჩანს რომ სულიდან მოდის, რომელიც მხოლოდ მათ გულს შეუძლია შეეხოს, ვინც წაიკითხავს. ამიტომ აუცილებელია, ეს შესაძლებლობა შევთავაზოთ უფრო მეტ ადამიანს. ახლა მისი წაკითხვა შესაძლებელია ფრანგულად. ეს შესანიშნავია და ძალიან მიხარია...“ ბატონმა კრისტიან ოლივმა კი გრძანა: „თქვენ ფრანკოფონიის „სიცოცხლით სავსე“ ძალიან კარგი მაგალითი ხართ, განსაკუთრებით თქვენს მშვენიერ ქვეყანაში: საქართველოში“...**

გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს, ფრანგული რენესანსის საიტზე გამოქვეყნებული ამ წერილიდან: **„პოეტების ხმა საქართველოდან“.**




**ვაჟა ოთარაშვილი** თბილისში მცხოვრები ქართველი მწერალი, პოეტი, ჟურნალისტი და პოლიტიკოსია. არის თეოლოგიის დოქტორი, ასწავლის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ტელეკომპანია „ობიექტივის“ არხზე უძღვება გადაცემას „ლიტერატურა, ხელოვნება და სულიერება“. ძალიან აქტიურია ლიტერატურულ და ზოგადად ხელოვნების სამყაროში, იგი ხელმძღვანელობს XVII საუკუნის უდიდესი ქართველი ფიგურისა და მოღვაწის, გიორგი სააკაძის ფენომენის კვლევით ცენტრს.იყო ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების მთავარი რედაქტორი, გამოქვეყნებული აქვს უამრავი კვლევითი ნაშრომი, წიგნი და სტატია. მისი პოეზია თარგმნილია რამდენიმე ენაზე და დაიმსახურა მრავალი ჯილდო და აღიარება. 2004-2014 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ასევე თბილისის საკრებულოს წევრი.

**ეკა კვანტალიანი** არის პოეტი, მთარგმნელი და მკვლევარი. გიორგი სააკაძის კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე, იგი განსაკუთრებით დაინტერესებულია საქართველოს, ევროპისა და აზიის ურთიერთობებით მე-16 საუკუნიდან დღემდე.ვაჟა ოთარაშვილთან ერთად უძღვება ისტორიისა და ლიტერატურისადმი მიძღვნილ გადაცემას „ობიექტივის“ არხზე.

ვაჟა ოთარაშვილმა და ეკა კვანტალიანმა ერთობლივად შექმნეს ლექსების კრებული სახელწოდებით **„ჯვრისწერა ღამით...“**, სადაც მათი ორი პოეტური ხმა აცოცხლებს უცნაურ სასიყვარულო ისტორიას ლეგენდარულ ქართველ პოეტ გალაკტიონ ტაბიძესა (1891-1959) და მისი მუზის მერი ერისთავი-შერვაშიძეს (1888-1986 წწ.) შორის,რომელიც იყო ქართველი არისტოკრატი, მოდის ხატი და კოკო შანელის მოდელი. წიგნი გვთავაზობს მათ წარმოსახვით მიმოწერას პოეტური ფორმით. ლექსები ქართულიდან ფრანგულად თარგმნა ეკა კვანტალიანმა.

2018 წელს გამოცემულ მათ პოეტურ კრებულში კი, „მერანის მისტერიები“, წარმოდგენილია მიმოწერა ლექსებად ქართველ პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილსა (1817-1845) და სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძეს (1816-1882) შორის. წიგნში გადმოცემულია განჯა-ნახიჭევანში მცხოვრები პოეტის საყვარელ ქალთან მოშორების გამო მწუხარება.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა, მეტსახელად ტატომ, ქართულ ლიტერატურაში ევროპეიზმი შემოიტანა, რომანტიკოსი პოეტი, აღიარებულია ქართველ ბაირონად. მან ვნებიანი და ტრაგიკული სიყვარულით სავსე ცხოვრება განვლო პრინცესა ეკატერინეს გამო,რომელიც საბოლოოდ დაქორწინდა სამეგრელოს მთავარზე დავითზე.

1857 წელს პრინცესა ეკატერინე ჩავიდა პარიზში, სადაც შეხვდა საფრანგეთის საიმპერატორო ოჯახის წევრებს. მისი ქალიშვილი სალომე კი დაქორწინდა პრინც აშილ მიურატზე 1868 წელს, რომელთანაც მას სამი შვილი ეყოლა.

სტატიაში დაბეჭდილია ასევე სხვა ლექსები პოეტებისა, სულ 14 ლექსის თარგმანი. წარმოგიდგენთ ქართულად ორ ლექსს,რომელიც სტატიაში ფრანგულად არის გამოქვეყნებული:



## ვაჟა ოთარაშვილი

## NOTRE-DAME DE PARIS...

**(ხანძარი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში... 2019 წლის 15 აპრილი)**

**მე მაგონდება წყნარი დღეები... ლუვრი...
სხვანაირია მაინც პარიზი ღამით...
სენა... ვერსალი... ცაში ეიფელს ვუვლით,
ფრანგთ სიამაყე ცეცხლშია დღეს ნოტრ-დამი...
ვინ აგიზგიზებს ბოროტ ენებით კოცონს?
ვინ შეეხება ქრისტეს უწმინდეს გვირგვინს?...
ლიბერალიზმი მხოლოდ ურწმუნოთ მოსწონთ
და ცეცხლის ენებს ატრიალებენ ირგვლივ...
ვერ გავექეცით ცოდვის გომორს და სოდომს
და დამნაშავე ყველა ჩვენგანი არის...
შენ მეუბნები, ტიროდა კვაზიმოდო,
მე კი სრულიად მივუსამძიმრებ პარიზს...**

## ეკა კვანტალიანი

## A NOTRE-DAME DE PARIS...

**გამოიარა ქარტეხილებში გზები,
ვერა დააკლო ჟამმა... სიავემ დროთა...
აქ ესმერალდა ერთ დროს ცეკვავდა გზნებით,
დღეს საფრანგეთის გული წუხილით მოთქვამს...
ჟანა დ'არკივით ცეცხლში გახვეულ ტაძარს,
ცრემლით უმზერდა სენ-ჟერმენი და ბორდო...
მერე კედლებმა თითქოს ჩაიცვეს ძაძა,
„ბედისწერაა...“ – ტიროდა კვაზიმოდო...**

მა ვასილ ჩიგოგიძემ და გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ურუშაძემ მიულოცეს.

**„მიმდინარე წელს ოზურგეთში სხვადასხვა მიმართულებით არაერთი პროექტი განვახორციელეთ. ჩვენ, კვლავ გვექნება პოზიტიური სიახლეები, დაგეგმილი გვაქვს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელოვანი პროექტი და განვაგრძობთ ოზურგეთის განახლებას. მჯერა, მომავალი წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის და მთლიანად ჩვენი ქვეყნისთვის იქნება კიდევ უფრო მეტი აღმშენებლობის, განვითარების, წარმატების და კეთილდღეობის მომტანი!**

**ოზურგეთის სახელით, მადლობას ვუხდი საქართველოს პრემიერ მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, მთავრობას და საქართველოს პარლამენტს, ჩვენი მუნიციპალიტეტის ძლიერი მხარდაჭერისთვის! გილოცავთ დამდეგ 2023 წელს!“** – განაცხადა ავთანდილ თალაკვაძემ. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე საახალწლო ღონისძიებები მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ადგილობრივი ანსამბლების შემდეგ, მსმენელის წინაშე ირინა ბაირამაშვილი, დათო ლონდარიძე და ჯგუფი „გუფი ლენდი“ წარდგნენ. ღონისძიება გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა.

## ზეიმობს ყვარელი

**ყვარელში ახალი წლის დღეების აღნიშვნა გალა-კონცერტით და ფეირვერკით დაიწყო. სტუმრების საზეიმო განწყობაზე ანსამბლი „ალილო“, ნოდარიკო ხუციშვილი და ჟამ შესსიონ-ის ბენდი ზრუნავდა.**

მოგვიანებით კი ყვარელში მთავარი ნაძვის ხე საზეიმოდ ყვარლის მერმა აანთო. მთელი დღის განმავლობაში ქალაქის ცენტრში არაერთი კულტურული , შემეცნებითი და გასართობი აქტივობა გაიმართა.

## ზეიმი - ყოველდღე!

**ფოთში, ქალაქის მთავარ მოედანზე, საახალწლო ღონისძიებები ყოველდღე იმართება. მოსულ მაყურებელს შეუძლია დაესწროს კონცერტებს, საბავშვო და გასართობ ღონისძიებებს, მონაწილეობა მიიღოს გამოფენა-გაყიდვებში.**

ფოთში საახალწლო დღეები 23 დეკემბრიდან ანსამბლ „ალილოსა“ და ჯგუფ „გუფი ლენდის“ საკონცერტო პროგრამით გაიხსნა. ღონისძიებები 31 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდება. საახალწლო პროგრამები ყველა თაობის ადამიანისთვის არის გათვლილი.

შობას, 7 იანვარს კი პრემიერ-მინისტრის ინიცირებითა და მთავრობის ორგანიზებით საახალწლო-საშობაო ღონისძიება გაიმართება.



# თურქეთის მთავრობას ოპოზიციის ეშინია!

**თურქეთში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება, შესაბამისად, ურთიერთობა ერდოღანსა და ოპოზიციას შორის დღითი დღე იძაბება. ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე ტემპერატურა მატულობს, რასაც ისიც მოწმობს, რომ თურქეთის სასამართლომ სტამბოლის მერს, ექრემ იმამოღლუს, ორი წლითა და შვიდი თვით პატიმრობა მიუსაჯა. ამ დროს, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, ის ქვეყნის დღევანდელი ლიდერის მთავარ კონკურენტად მოიაზრება. სტამბულის მერს, საარჩევნო კომისიის წევრებისთვის შეურაცხყოფის მიყენებას ედავებიან. 2019 წელს, იმამოღლუმ საჯაროდ განაცხადა, ვინც ადგილობრივი არჩევნები გააყალბა, ნაძირლები არიანო. საქართველოში რომ ყოფილიყო ასეთი კანონი, მთავრობას მთელი ოპოზიცია უნდა დაეჭირა, ალბათ!..**

თურქეთში მართლაც მოქმედებს მსგავსი კანონები, მაგრამ დასავლეთის არც ერთ ლიდერს ეს არასოდეს შეუნიშნავს, თუმცა, თურქეთი ნატოს ქვეყანაცაა და ევროკავშირის ასოცირებული წევრიც. სტამბოლის მერის მიმართ განაჩენი რომ აღსრულდეს, გადაწყვეტილებამ ზედა სამართლებრივი საფეხურებიც უნდა გაიაროს, ანუ სააპელაციო და უზენაესი სასამართლოები. ქვეყანა მოუთმენლად ელის ბოლო ინსტანციის გადაწყვეტილებას. ვერდიქტი ქუჩაში გამოსულმა ათიათასობით ადამიანმა გააპროტესტა ეროვნული დროშებით ხელში და ანტისამთავრობო შეძახილებით. ხალხში ხმა გაისმა, რომ მთავრობას იმამოღლუსი ეშინია და ამიტომ დაიჭირესო.

ჩვენ ვერავინ შეგვაჩერებს, გაიძახოდნენ ამბოხებულები. მართლაც, პატიმრობამისჯილი იმამოღლუ ხალხში ოპოზიციის არაოფიციალურ, მაგრამ აღიარებულ ლიდერადაა მიჩნეული. 2019 წლის სტამბულის მერის არჩევნებში სწორედ მან, ოპოზიციონერმა და ქემალისტური პარტიის წევრმა გაიმარჯვა. იმამოღლუმ ერდოღანის თანამებრძოლი და მმართველი პარტიის პოლიტბიუროს წევრი ბინალი ილდირიმი დაამარცხა, რაც ერდოღანისა და მმართველი პარტიისთვის ორმაგად საწყენი იყო. ერთია ის, რომ ერდოღანი ფიქრობდა, მძიმე წონის პოლიტიკოსი წარადგინა არჩევნებში, რომელიც 2016-18 წლებში ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იყო; მეორე, მარცხს სიმბოლური ელფერი დაჰკრავდა: მანამდე, 25 წლის მანძილზე, ქალაქის მერები მხოლოდ ერდოღანის პარტიას წარმოადგენდნენ. ერდოღანი, ცხადია, არ დანებდა წაგებას და, ვითომდა, დარღვევების გამო, საარჩევნო კომისიას არჩევნები გააუქმებინა. დაინიშნა განმეორებითი არჩევნები და მეორეჯერაც იმამოღლუმ გაიმარჯვა. ამჯერად, ერდოღანმა აღიარა არჩევნების შედეგები და იმამოღლუ ოპოზიციასა და ქვეყნის მთავარ ქალაქს ჩაუდგა სათავეში. მოგეხსენებათ, სტამბოლი თურქეთის პოლიტიკური და ფინანსური ცენტრია.

ერდოღანის პოლიტიკური კარიერაც აქ დაიწყო. ის სტამბულის მერი იყო 90-იან წლებში. სწორედ მას ეკუთვნის ის ცნობილი სიტყვები, ვინც სტამბულში მიაღწევს გამარჯვებას, დანარჩენ თურქეთშიც გაიმარჯვებსო. თურქეთის ოპოზიცია ექვსი ძლიერი პარტიისგან შედგება, რომელთა ლიდერებმა იციან, რომ ცალ-ცალკე ვერ დაამარცხებენ ერდოღანს, ამიტომ, ერთად მოქმედებენ, თუმცა, ეს ექვსეული იდეოლოგიურად სრულიად განსხვავებულია, რის გამოც ხშირია კონფლიქტი მათ შორის. გარდა ამისა, გაერთიანებული ოპოზიცია ვერ შეჯერდა საერთო კანდიდატზე. პრეზიდენტად არჩევის პრეტენზია სამ პოლიტიკოსს აქვს. სამივე ყველაზე დიდი ქემალისტური პარტიის წევრია: პარტიის ლიდერი ქემალ ქილიჩ-დაროღლუ, ანკარის მერი მანსურ იავაში და სტამბოლის მერი იმამოღლუ.



ამ ბოლო დროს, თურქეთის პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის რეიტინგი დაეცა, რაც სახელწიფოს მეთაურის არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ბრალდება. უკვე რამდენიმე წელია, თურქეთში ეკონომიკური კრიზისია: მაღალი ინფლაცია, ვალუტის გაუფასურება და მოსახლეობის შემოსავლების ვარდნა, რაც ერთობ სერიოზულად აისახება მოქალაქეების განწყობაზე, მაგრამ უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, ერდოღანის რეიტინგი, რამდენადმე, გაუმჯობესდა, რასაც პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკამ შეუწყო ხელი. თურქეთის მოსახლეობა მხარს უჭერს ერდოღანის საერთაშორისო პოლიტიკას, ანუ იმას, რომ არ ერევა უკრაინის კონფლიქტში და ცდილობს, რუსეთსა და უკრაინას შორის მშვიდობიანი მოლაპარაკებები გამართოს. ამას ისიც ემატება, რომ უკრაინის ომის შედეგად, თურქეთი რეგიონის ერთგვარ ეკონომიკურ ცენტრად იქცა, რამაც საგრძნობლად წასწია წინ თავად თურქეთის ეკონომიკა.

# მართლაც რომ ბევრი რამ შეცვალა უკრაინის ომმა!..



**დღევანდელი საერთაშორისო წესრიგი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, უკრაინის ომმა შესამჩნევად მოარყია. სწორედ იმ წესრიგმა დააყენა მაშინდელი აგრესორი ქვეყნები, იაპონია და გერმანია, განვითარების მშვიდობიან გზაზე, რაც მათ მიერ მილიტარიზაციაზე უარის თქმაში გამოიხატა.**

საერთაშორისო გავლენისთვის შეზღუდული სამხედრო პოტენციალის პირობებში, იაპონიასა და გერმანიას მხოლოდ ეკონომიკური ბერკეტები დარჩათ. ამერიკის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ მყოფმა ორივე ქვეყანამ დიდ წარმატებას მიაღწია ეკონომიკის დარგში. ამერიკისა და ჩინეთის შემდეგ, მათ ყველაზე ძლიერი ეკონომიკა აქვთ მსოფლიოში. და მაინც, მოხდა ისე, რომ ოცდამეერთე საუკუნის გამოწვევებმა ეს ორ ქვეყანა აიძულა, თავიანთი პაციფისტური პოლიტიკისთვის გადაეხედათ, რაც უკრაინის ომმა საგრძნობლად დააჩქარა. დღეს, მსოფლიო თვალნათლივ ხედავს მათ გამალებულ შეიარაღებას. გერმანიამ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის გაზაფხულზე აიღო გეზი მილიტარიზაციისკენ. გერმანიას იაპონიამაც მიბაძა, რომელმაც უკვე გამოაქვეყნა ეროვნული უსაფრთხოების ახალი ხუთწლიანი გეგმა.

გეგმას მსოფლიო პოლიტიკის მოთამაშეთა უმრავლესობამ უპრეცედენტო უწოდა. იაპონიის მთავარ დოკუმენტში ქვეყნის ყველაზე დიდი სტრატეგიული გამოწვევებია წარმოდგენილი, რომელთა შორის, მთავარი ჩინეთი და მისი აგრესიული პოლიტიკაა რეგიონში. მეორე ადგილზეა რუსეთი. იაპონიას მიაჩნია, რომ რუსეთის შეჭრა უკრაინაში არის ძალის გამოყენების ამკრძალავი საერთაშორისო კანონმდებლობის სერიოზული დარღვევა, რამაც მოარყია ახლანდელი საერთაშორისო წესრიგის საფუძვლები. გარდა ამისა, იაპონიასა და რუსეთს შორის დღემდე არსებობს ერთი დიდი გადაუწყვეტელი საკითხი: ვის ეკუთვნის კურილიის კუნძულები. ამ პრობლემის გამოა, რომ მათ შორის დღემდე არ არსებობს სამშვიდობო ხელშეკრულება. უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, ორ ქვეყანას შორის უთანხმოება კიდევ უფრო გაღრმავდა. იაპონიის შეშფოთებას ჩრდილოეთ კორეის აგრესიული ტონიც იწვევს.

მოკლედ, იაპონიას, სამ ბირთვულ მეზობელთან, ჩინეთთან, ჩრდილოეთ კორეასთან და რუსეთთან, სხვადასხვა ტიპის უთანხმოება აქვს. ზუსტად ამ გამოწვევების საპასუხოდ შემუშავდა ახალი სტრატეგიული გეგმა. იაპონიის მთავრობა ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტის უპრეცედენტო გაზრდას გეგმავს: 320 მილიარდ დოლარამდე მომავალი ხუთი წლის განმავლობაში, რითაც იაპონიის თავდაცვის ბიუჯეტი, ამერიკისა და ჩინეთის შემდეგ, მსოფლიოში მესამე იქნება სიდიდით. მომავალ წელს, იაპონიის სამხედრო ხარჯები მიმდინარე წლის ბიუჯეტთან შედარებით 57%-ით გაიზრდება. გეგმა, ასევე, ითვალისწინებს იაპონიის შეიარაღებული ძალების სრულიად ახალ რელსებზე გადაყვანას: იაპონია შეიძენს მოდერნიზებულ შემტევ ტექნიკას. ესაა კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები, თანამედროვე საზღვაო საბრძოლო გემები და თვითმფრინავები.

იაპონია ინგლისსა და იტალიასთან ერთად, ახალი თაობის ავიაგამანადგურებლის შექმნის პროექტზე მუშაობს. იაპონიის გენშტაბმა, ასევე, გადაწყვიტა რუსეთის, ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის საზღვრებთან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები განათავსოს. ცხადია, მილიტარიზაციის ამ მასშტაბური პოლიტიკის გასატარებლად, მთავრობას დიდი რაოდენობის ფინანსები სჭირდება, რაც, პრაქტიკულად, უკვე მოინახა: იაპონიის ლიდერის გადაწყვეტილებით, ქვეყნის მთლიანი მილიტარიზაციის დასაფინანსებლად, მთავრობა შემოიღებს გადასახადს თავდაცვაზე, რითაც სამხედრო ბიუჯეტი შეივსება იმდენად, რომ ქვეყანას არ მოუხდება ახალი ვალების აღება.

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა, ფუმიო კიშიდამ ეროვნული უსაფრთხოების ამ ახალი გეგმის შესახებ განაცხადა: ჩვენი ქვეყანა ისტორიის გარდამტეხ ეტაპზე იმყოფება და სამხედრო პოტენციალის განვითარება არის პასუხი უსაფრთხოების არსებულ გამოწვევებზე, რომელთა წინაშე ქვეყანა ახლა დადგა. ნიშანდობლივია, რომ იაპონიის მთავრობის ახალ პოლიტიკას ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა უჭერს მხარს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ იაპონელებმა 2022 წლის მთავარ სიტყვად და სიმბოლოდ სიტყვა „სენ“ აირჩიეს, რაც ბრძოლას ნიშნავს. მართლაც რომ ბევრი რამ შეცვალა უკრაინის ომმა დღევანდელ მსოფლიოში, მაგალითად, მშვიდობიანი იაპონიისა და გერმანიის ნაცვლად, კბილებამდე შეიარაღებული ორი სახელმწიფო მივიღეთ.

# ოჰ, ეს მიკერძოება!..

**მე თავად ვარ იმის მომსწრე და მონაწილე, რომ, მიუხედავად სიტყვის თავისუფლებისა, ამერიკულ და, არა მხოლოდ ამერიკულ მასმედიაში, ყველაფრის ლაპარაკი შენს ნებაზე ნამდვილად არ არის მიღებული. მაგრამ, ვინ იფიქრებდა, რომ სოციალურ ქსელებში ცენზურისა და კონიუნქტურის ასეთი გავლენა იქნებოდა.**

მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, თვითნებურად დაბლოკეს. ტვიტერის შეძენის მეორე დღესვე, ილონ მასკმა კომპანიის საიდუმლო სვლები და ცენზურული ცოდვები გამოააშკარავა. ტვიტერის წინა მენეჯმენტი დემოკრატიული პარტიის მიმდევრების, იგივე, ლიბერალების, სასარგებლოდ ეწეოდა ინფორმაციის მანიპულაციას და გასაშვები ტექსტების ცენზურას. ახლა უკვე, ცნობილი გახდა, რომ არც ფეისბუკი აკლებდა ხელს მსგავს საქმიანობას.

თავად ფეისბუქის დამაარსებელმა და მმართველმა, მარკ ცუკენბერგმა, აღიარა, რომ მისი კომპანია ნამდვილად ბლოკავდა ინფორმაციას, რომელიც სასურველად არ მიაჩნდა. ამერიკელი დემოკრატები და, ზოგადად, ლიბერალური სამყარო, შეშფოთებულია, რომ სოციალურ მედიაზე გავლენას კარგავენ. ამიტომ, დემოკრატთა ერთმა ჯგუფმა, მათ შორის, ცნობილმა დემოკრატმა კონგრესმენებმა, ადამ შიფმა და ანდრე კარსონმა, სასწრაფო წერილი აფრინეს ფეისბუქის მისამართით. მათ კატეგორიულად მოითხოვეს, კომპანიის ხელმძღვანელობამ ძველ ცენზურულ სარედაქციო პოლიტიკას არ გადახედოს, თუ არა და, დაიმუქრნენ, რომ თავიანთ საკანონმდებლო ძალაუფლებას გამოიყენებენ, შესაბამისად. დემოკრატმა სენატორმა ელიზაბეთ უორენმა პირდაპირ მოუწოდა სოციალურ ქსელებს, არ დათმონ ცენზურა, რაც იმით გაამართლა, რომ ხალხს ბოროტი ადამიანებისგან დაცვა სჭირდება. გამოდის, სიტყვის თავისუფლება და ხალხის აზრი თავისებურად ესმით ამერიკელ დემოკრატებს. რესპუბლიკელები შედარებით ფხიზლად არიან. მათ უკვე მოითხოვეს კონგრესის საგამოძიებო კომისიის შექმნა და, რაც მთავარია, დროის ამ მოთხოვნას ამერიკელი ხალხი მხარს უჭერს. გამოკითხულთა 77 პროცენტს სჯერა, რომ სოციალური მედია პოლიტიკურად მიკერძოებულია.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
POCTV



# რუსეთმა ღმერთი მოკლა!

**კონფუცი ამბობდა, „კაცი ფეხიდან თავამდე კი არა, თავიდან ზეცამდე იზომებაო“, ხოლო დღევანდელი რუსეთის ხელმძღვანელობა უთუოდ თავიდან მიწამდე და ბნელ სამარემდე იზომება, რაც დიდად სამწუხაროა. მსოფლიოს იდეურად დაუდგენელი ამჟამინდელი ომი უკრაინაში დაგველთაობს თითქმის რამდენიმე თვეა; ამავ დროს კაცობრიობის მტრებს დაუპირისპირდა ორგული თუ მშიშარა მსოფლიო და კაენი უფრო პარპაშობს. მიმდინარე სატანური ომი კი გადასხვაფერდა და წარმოიშვა სრულიად ახალი სისტემისა და ზეობით მშიშარათა ურთიერთგარიგება. თუ ასე გაგრძელდა, კაცობრიობა განადგურდება და მშიშარათ სარკოფაგებში რიგრიგობით ჩალაგდება, ე — მაშინ სატანა მართლაც ჩაიცვამს შავებს, რათა ძალიან შევტოპე და ჩემი მარადიული არენა სრულიად გავანადგურეო, მაგრამ ყოველივე ამ უბედურებისა, ქვეყნიური უძლეველი სიკეთე და სიყვარული საიმედოდ ნელ-ნელა ძალას იკრებს...**

სიკვდილი კოსმიური, ერთგულ-შემსრულებელი გამოეცხადა სისხლისმღვრელსა და მსმელ პუტინს და საქვეყნოდ საყვედურობს, რატომ და რისთვის მაკისრებ ამ არასამყაროსეულ მკვლელობებს, ეს ხომ სრული უზნეობაა ჩემს სივრცეშიც; რა გაიძულებს ადამიანო! ამდაგვარ ცოდვას ხომ სატანაც არ სჩადის! მასაც გააჩნია მისეული ხლართული აზროვნება: შენი აზროვნება? არაზეციურია, არცა მიწიერი, საფლავთ სიღრმიდან? არა! უფრო ბნელეთის ქვაბულებიდან მოსული ცოდვა ხარ, რომლის უსაზიზღრესი ფორმა და სახელი ვერ მოუძებნიათ. პირადად შენზე არასოდეს და არავინ იტყვის, უკანასკნელი სამსჯავროს ჟამს, შეიბრალეთ-აპატიეთო, პირიქით, ბევრად უარესის ღირსიაო... და სიკვდილი ბოლოს დაასკვნის: ადამიანო, შენ მე რომ მაჯობე ყოველმხრივ, პირველი და წარმოუდგენელი შემთხვევაა ჩემს არსებობაში...

**„ადამიანი? მხეცია,** — ამბობს შპენგლერი, — **რომლის ცხოვრება მკვლელობაზეა აშენებული“.**

აი, თუ ასეა, კოსმოსო, უფალო და სიკეთევ, უშველე ამ ცოდვილიან ადამის მოდგმას!..

**ისმის მრავალმხრივი კითხვა: დედამიწელებმა ნგრევა და ბოროტება გალაქტიკიდან ხომ არ მოიზიდეს? მაშინ ისევ იმავე სისტემიდან მოგვივა ის კეთილი ძალები მხსნელად, ამათ რომ გაანეიტრალებს და საუკუნეებით თუ ათეული წლებით მაინც შეასვენებს კაცობრიობას...**

აქვე მინდა ვაღიარო, რომ წინაპართა არასწორი გამონათქვამია: **„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს კი ზურგს უკანაო“.** მეგობრებო! ნაწილობრივ უზნეობაა ასეთი მოწოდება. პირიქით, მოყვარეზე მეტად მტერს უნდა უყვირო, ებრძოლო და უძრახო პირში, ეგების ამდაგვარი პირდაპირი მიმართებით სწორ გზაზე დააყენო და ამითი გადაარჩინო ბევრი სხვანი, თავად ისიც — უბედური...

უთუოდ ზე-ზნეობამ გადაარჩინოს უნდა მცდარ გზაზე მდგარი მოკეთე და გაბოროტებული მტერიც: გზა ამდაგვარი მაცხოვრისეულია და ნათელ ვარსკვლავეთური... ღმერთმა დამიფაროს და ბოროტნი ჩემი ხელით რომ დამეხოცა, უმალ მათივე ზნეობისა გავხდებოდი - ტანჯულ-გაუბედურებული. მხოლოდ ჩვენი მზის კოსმიური ზნეობით უნდა ვიხელმძღვანელოთ მარად უძლიერესი ბოროტსა და კეთილს ერთნაირად ათბობს, იმოდენა უსასრულო სამყაროსეული კეთილი ძალაა ყველას იმედ-პატრონი, ნებისმიერთ საფლავებსაც ერთი წამითაც რომ არ ტოვებს, რითიც სასწაულებრივად რეგულირდება კაცთა ზნეობა...

თანამედროვენნო, უთუოდ ისევ ჩვენგან გადასარჩენია მათგან მრავალი რუსი — კეთილი, ნიჭიერი და ღვთისნიერი უდანაშაულო ხალხი... რუსეთის პრეზიდენტ პუტინის ოჯახის წევრები და ახლობლები უკვე სამგლოვიარო სამოსელს უნდა იკერავდნენ... ვარსკვლავეთში, ზოგჯერ უწესრიგობა და ცეცხლოვანი გადაადგილებებია თუ არა ამდაგვარ კაცობრიობის გამანადგურებელი ომის გამჩაღებლებს, დროული იქნებოდა, თავიანთ თავს საკადრესი განაჩენი გამოუტანონ და განეშორონ ნორმალურ კაცთა შორის არსებობას...

ანდა, ამხელა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია სადაა, ამ სახის საშინელებას რომ ვერ ამჩნევს? დროა, საერთაშორისო მუსიკა რექვიემი დაიწეროს ყველა მათზე და მიწას კეთილს ემთხვიონ. მიწა ხომ მზის მერმე ყველაზე კეთილ-ლიბერალურია მთელს სამყაროში. მოვა დრო, უფრო — დღეიდანვე, საქართველოში და უკრაინაში მათ მიერ მოკლული სრულიად უდანაშაულო ხალხი წმინდანებად შეირაცხებიან. ესენი? ამჟამად რა დონის მკვლელ-არარაობანი არიან, სიკვდილის მერე? ყველაზე ბინძურ მიცვალებულებად ჩავლენ ყველაფრის ამტან მიწაში... რასაც ეს ვითომ ჯარისკაცები რომ სჩადიან უკრაინაში და ჩაიდინეს საქართველოში, ენით აღუწერელი სისაძაგლეა. მათი შემხედვარე შხამიანი ჭრელი გველებიც რომ გაკვირვებულნი არიან; ხოლო ყავისფერი მორიელები, ამ უბედურების გამგონენი, თავიანთი ყურების დახშობას ლამობენ, ეს როგორი ხმები და ამბები მოგვდის გარემოსგანო. შორეულ იმქვეყნიურობაში მყოფი ისტორიული უზნეო ნეშტები მწარედ მოთქვამენ, ჩვენი წარსული მაინც მოიგონონო.



**„ბოროტებამ გაანადგურა სიცოცხლე და მშვენიერება“**

**მხატვარი რეზო ადამია**

ამ დროს რუსეთიდან კეთილი ზნეობის ქვეწარმავლები გაიქცნენ და კაციშვილმა არ იცის, სად გადაიმალნენ... ირგვლივ ქვეყნიერების და პლანეტის მამოძრავებელი ჯანსაღი სისხლი ტირის-მოთქვამს და აგერის გასქელდეს, გამყარდეს და ქვად იქცეს... დღეს მრავალკაცთ გონება სიკეთისგან დაცარიელდა და უცხო შხამით ივსება. კაცობრიობა ტირის, მშიშარა მსოფლიოს გარკვეული ნაწილი სამალავს ეძებს...

მომავალში, იმედად მხოლოდ მიწიერ თუ კოსმიურ მართალ სვლა-გადაწყვეტილებებს უნდა ველოდოთ, ჯერჯერობით? ჩვენ ირგვლივ სივრცე შავ უკუნეთშია მოქცეული...

**„არ არსებობს ომი, რომელიც სხვა ომს დაამარცხებს, ომი ომს შობს“** — მურაკამი.

ისევ მოვთქვამ — სად არიან, ადამის მოდგმის განადგურების ჟამს რუსეთის ეკლესიის მსახურნი? ნუთუ მათ უამრავ მღვდელმთავრებში, მღვდლებში და ბერ-მონაზვნებში არ გამოჩნდა მომავალში წმინდანობის ღირსნი, რომ თავგანწირვით გაილაშქრონ უფლის სახელით, რათა აღიკვეცოს კაცობრიობის განადგურების საწყის გამაუბედურებელი და ლაჩრული ლაშქრობანი; თუ მხოლოდ მწიგნობარი და ფარისეველთა მსგავსი საზოგადოებით გაივსო დღევანდელი რუსეთის ეკლესია-მონასტრები?

**მე არ მეშინია კაენისტებისა და მკვლელების, რათა დიდი ხანია, დროულ სიკვდილთან ვმეგობრობ. მან კარგად იცის, როდის და რა ჟამს გადამანაწილოს სამყაროს სივრცის უსასრულობაში და კოსმიურ მეხსიერებას ჩააბაროს თავი ჩემი. დიახ, რომ მჟერა და მწამს პატრიარქი, წმინდანი ამბროსი ხელაია ცოცხალი რომ იყოს, მეორედ გადადგამდა წმინდა გიორგისეულ გმირულ ნაბიჯს და მშიშარა კაცობრიობას დაუმტკიცებდა, თუ რას წარმოადგენს უნაკლო ღვთისა და ადამის მოდგმის ურთგულეს-ზნეობრივი სამსახური...**

დღევანდელმა რუსეთმა ღმერთს მესამედ ესროლა, სიკვდილი და ეკლესია უკიდურესად დათრგუნა; ცნება წმინდანი და სახალხო გმირი რუსეთიდან გაქრა, ყველა სულიერნათელნი ამაღლებულნი უგონო მკვლელმა დახოცა და ბოროტი სვლა შეუჩერებლივ გრძელდება...

იხ. 13 გვ.

## აშშ პუტინის ლიკვიდაციით იმუქრება

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი მიიჩნევს, რომ აშშ ვლადიმერ პუტინის ლიკვიდაციით იმუქრება. აღნიშნულის შესახებ ლავროვმა „ტასთან“ ინტერვიუში განაცხადა.**

სერგეი ლავროვის თქმით, კრემლზე გამანადგურებელი დარტყმის მიტანის შესახებ პენტაგონის ოფიციალური პირების განცხადებები ვლადიმერ პუტინის ფიზიკური განადგურების საფრთხეზე მიუთითებს. **„თუ ასეთი იდეები ვინმეს თავში მოსდის, ეს ვიღაც კარგად უნდა დაფიქრდეს ამის შედეგებზე“,** — განაცხადა ლავროვმა.

## უკრაინაში ომი კარგა ხანს გასტანსო...

**გერმანიაში გამოკითხულთა 57%-ს არ სჯერა, რომ ომის უკრაინაში 2023 წელს დასრულდება. კიდევ 27%-ს მიაჩნია, რომ საომარი მოქმედებები ერთი წლის განმავლობაში დასრულდება.**

სოციოლოგიური კვლევა ინსტიტუტმა YouGov-მა სააგენტო dpa-ს დაკვეთით ჩაატარა.

**კიდე ერთი შეკითხვა ეხებოდა მოლაპარაკების შესაძლებლობას. რესპონდენტთა 55% მოლაპარაკების მომხრეა. 27%-ს კი მიაჩნია, რომ რუსეთთან დიალოგის დაწყების დრო ჯერ არ დამდგარა. მესამე შეკითხვა რუსეთის მიერ უკრაინის ანექსირებული ტერიტორიების დაბრუნების შესაძლებლობას ეხებოდა. გამოკითხულთა ნახევარს მიაჩნია, რომ უკრაინამ კონტროლი მთელ ანექსირებულ ტერიტორიაზე, მათ შორის ყირიმზე უნდა აღადგინოს, 29% ფიქრობს, რომ მოსკოვმა ყირიმზე კონტროლი უნდა შეინარჩუნოს, ხოლო 9% ამბობს, რომ მოსკოვმა სხვა ანექსირებულ ტერიტორიებზე კონტროლიც უნდა შეინარჩუნოს.**

ნოუგოვ-მა გამოკითხვა 16-21 დეკემბერს ონლაინრეჟიმში ჩაატარა და მასში 2075 ადამიანი მონაწილეობდა, რომელთა ასაკი 18 წელს აღემატებოდა.



## ჩამოართვით რუსეთს მუდმივი წევრის სტატუსი და გარიცხეთ გაეროდან!

**უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება აცხადებს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის მუდმივი წევრის სტატუსი არალეგიტიმურია.**

კულებას თქმით, 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ რუსეთის დელეგაციამ უშიშროების საბჭოში ამ ადგილის ოკუპირება მოახდინა, საერთაშორისო საზოგადოებამ კი ამაზე თვალი დახუჭა.

**„უკრაინა მოუწოდებს გაეროს წევრებს, განაახლონ გაეროს წესდების გამოყენება გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის ფედერაციის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით, ჩამოართვან რუსეთს ეს სტატუსი და გარიცხონ ის გაეროდან“,** — განაცხადა კულებამ. დმიტრო კულებას განცხადებით, რუსეთს არასდროს გაუვლია გაეროს უშიშროების საბჭოს წევრობისთვის საჭირო სამართლებრივი პროცედურა. მისივე თქმით, რუსეთის ქმედებები ეწინააღმდეგება **„მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს კონცეფციას“.**

# მარეხ გოძიაშვილი – ტკბილ ჰანგთა შემოქმედი

**რადიოში მომღერლის ულამაზესი ხმა ისმის, რომელიც სრულიად განსხვავდება უკვე ნაცნობი მომღერლებისგან. მის თბილ, ხავერდოვან, უჩვეულო და უცნობ ხმას უდიდესი ინტერესით ვუგდებ ყურს. იმ დროს უკვე ცნობილი და აღიარებული ჯგუფის – დები იშხნელების პოპულარობის ფონზე, გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში უამრავი აკუსტიკური სახის დუეტი, ტრიო და კვარტეტი შეიქმნა. გამოჩნდნენ ახალი ჟანრის მიმდევარი მუსიკოს-შემსრულებლები. ჩვენი, რადიოს თაობის ნამდვილ აღმოჩენას უნიჭიერესი მარეხ გოძიაშვილი წარმოადგენდა, რომელიც სწორედ ზემოაღნიშნულ სასიმღერო მიმართულებას და ფორმატს გაჰყვა და ის მაშინდელი ქართული საესტრადო მუსიკის ერთ-ერთ მთავარ განშტოებად იქცა. მან, ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა ქალაქური სიმღერის ახალი სტილი, საშემსრულებლო მანერა და ყველასგან განსხვავებული ინდივიდუალური ხელწერა. საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა მარეხ გოძიაშვილს, მის მიერვე დაარსებულ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ტრიოსთან ერთად. მათი ახლებური შესრულება ხალხმა უმალ აიტაცა და ფაქტიურად თავისად გაიხადა.**

მარეხ გოძიაშვილი 1926 წლის 30 დეკემბერს დაიბადა თბილისში. მისი გატაცება სიმღერისადმი, სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რადგან მუსიკალურ გარემოცვაში იზრდებოდა. ძალიანაც რომ სდომოდა, გვერდს ვერ აუვლიდა. მამამისი ილია და მთელი მისი წინაპრები სიმღერასთან იყვნენ დამეგობრებულნი. პაპამისი, სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში მცხოვრები – ალექსანდრე გოძიაშვილი, თურმე უნიკალური ხმით გამოირჩეოდა, ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლად ითვლებოდა. სოფლის მოსახლეობაში შემორჩენილი გადმოცემით: ურემზე მჯდომი ალექსანდრე ალაზნის ველზე მდებარე ჭიანტყიდან რომ დასჭექდა, მისი ექო ვაქირის თავში ისმოდა. მუსიკალურად დაჯილდოებულნი იყვნენ მარეხის ბიძები – იოსები და ნიკოლოზი. ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, მუსიკალური სმენით გამორჩეული, მათი ბიძაშვილი, მომავალში ქართული სცენის განუმეორებელი ვარსკვლავი – ვასო გოძიაშვილი.



ვახტანგ ტატიშვილი, მარეხ გოძიაშვილი და ჯემალ ბაღაშვილი

ერთი ასეთი საინტერესო ისტორიას შეგახსენებთ, 1913 წელს თბილისში ხმა დაირხა, რომ ვინმე იოსებ გოძიაშვილი (მარეხის ბიძა) ქართველ ქალთა და ვაჟთაგან მომღერალთა გუნდს აყალიბებდა. დაჟინებული და ხანგრძლივი მეცადინეობის შედეგად იოსებმა გუნდს 15-მდე სიმღერა შეასწავლა და ზუბალაშვილების სახალხო სახლში (ახლანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) კონცერტები გამართა. კონცერტის წინ სცენაზე გამოდიოდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები: პედაგოგი და ლიბრეტისტი პეტრე მირიანაშვილი, კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, სახალხო განათლების დიდი მოღვაწე და გამომცემელი ლუარსაბ ბოცვაძე, რომლებიც დამსწრე საზოგადოებას ქართულ სიმღერა-გალობაზე ესაუბრებოდნენ. ერთ-ერთ საღამოზე ავტორმა მირიანაშვილმა ვრცლად ილაპარაკა იოსებ გოძიაშვილის მუსიკალურ ტრადიციებზე, დიდი პატივისცემით მოიხსენია იოსების მამა, ქიზიყში (სოფელ ვაქირში) სახელგანთქმული მომღერალი ალექსანდრე გოძიაშვილი. გუნდის სული და გული იყო ილია გოძიაშვილი (იოსების ძმა და მარეხის მამა). ეს ლამაზი და მომხიბვლელი ჭაბუკი მშვენიერი ხმით იყო დაჯილდოებული. იგი შესანიშნავადაც ცეკვავდა. ილიამ სცენაზე თურმე ისეთი ცეცხლი დაანთო, რომ აღტაცებულმა ნიკო ფიროსმანმა (რომელიც საღამოს ესწრებოდა) წამოიძახა: **„ამ დალოცვილს ფეხის თითებიდან თითქოს ნაპერწკლები სცვივაო!“** კონცერტის შემდეგ ფიროსმანი იოსებ გოძიაშვილთან მივიდა და წარმატება მიულოცა: **„დაილოცოს შენი სახელი, ბატონო იოსებ, ძლივს არ მოვისმინე ნამდვილი ქართული სიმღერები! რა კარგი გუნდი გყავს, ნამდვილად სანაქებოა, რომ ასე ახალგაზრდამ ასეთი რთული საქმის თავის მობმა შეძელი“.**

იოსებ გოძიაშვილი იმდენად ნიჭიერი და მაღალპროფესიონალი ლოტბარი იყო, რომ 1915 წელს გარდაცვლილი აკაკი წერეთლის პანაშვიდზე გალობა მხოლოდ მის ქალთა და ვაჟთა გუნდს მიანდეს. დასანანია, რომ იმავე წელს სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ახალგაზრდა, პერსპექტიული, დიდი მომავლის მქონე იოსებ გოძიაშვილი ამის შემდეგ ორივე მომღერალთა გუნდს მისი ძმა ილია (მარეხის მამა) ხელმძღვანელობდა.

ასეთი ისტორიისა და წინაპრების პატრონი, სხვა გზას ვერ აირჩევდა და მარეხ გოძიაშვილიც იმავე გზას დაადგა. დაადგა და მთელი ცხოვრება აღარ მოსცილებია. მისთვის მისაბაძი მომღერლები იყვნენ: თამარ წერეთელი, ქეთო ჯაფარიძე და მერი შილდელი.

პირველი შესაძლებლობები მან თვითშემოქმედებაში სცადა. სწორედ აქედან დაიწყო მისი, როგორც საესტრადო მომღერლის ფორმირება. ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ინგლისური ენის სპეციალობაზე სწავლის დროს მოხდა, რომელიც 1948 წელს დაამთავრა. სპეციალური მუსიკალური განათლება არ მიუღია. 1953 წლიდან იგი საქართველოს ფილარმონიის სოლისტია. ამავე წელს დააარსა ვოკალურ-საკრავიერი ტრიო, რომელსაც დიდხანს ხელმძღვანელობდა. ბუნებრივმა ნიჭმა, მუსიკის, სიმღერისადმი სიყვარულმა, სისტემატურმა და ბეჯითმა მეცადინეობამ მარეხს გზა გაუკაფა ქართული ესტრადისაკენ და ფართო ასპარეზზე გამოიყვანა. ტრიო „ლილე“ ჯერ ედუარდ სეფაშვილის და კონსტანტინე მაკარიძის, შემდგომ კი ჯემალ ბაღაშვილის და ვახტანგ ტატიშვილის შემადგენლობით ერთ-ერთ საინტერესო ჯგუფად მოგვევლინა. მათი რეპერტუარი იმდენად სახალხო გახდა, რომ ქუჩაში გამვლელებისგანაც ხშირად გაიგონებდით ნაცნობ მელოდიებს.

მარეხ გოძიაშვილისა და მისი ჯგუფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ პოპულარობა შესძინეს და მსმენელთა წინაშე გამოიტანეს მაშინ ჯერ კიდევ უცნობი კომპოზიტორების: შოთა მილორავას, სანდრო მირიანაშვილის, ედვარდ სავიცკის, ლილი იაშვილის, ოთარ თევდორაძის, ვაჟა აზარაშვილის სიმღერები. ამ მხრივ მათი დამსახურება მართლაც განსაკუთრებულია. სწორედ მათი საშუალებით მოხდა დამწყები კომპოზიტორების ცნობადობის გაზრდა და მათი ნაწარმოებების მაღალ დონეზე წარმოჩენა. მათ შესრულებაში აშკარად მოჩანდა ეროვნული კოლორიტის, განსაკუთრებით კი ქალაქური ფოლკლორის ნაირსახეობა, თავისებური ხელწერით გადმოცემული.

გუშინდელივით გვახსოვს ლამაზი, მოხდენილი მომღერლის გამოჩენა, რომელმაც უშუალობით, ოსტატობით და არტისტიზმით უმალ დაიპყრო მსმენელთა გული. მარეხ გოძიაშვილი პირველად, საკუთარი რეპერტუარით წარსდგა მსმენელთა წინაშე. უშუალოდ მის მიერ შექმნილმა და შესრულებულმა სიმღერებმა – **„გამიგონია“ (ლექსი იოსებ ნონეშვილის), „წაღვერი და თბილისი“ (ლექსი ანდრო თევზაძის), „მელოდი“, რომლებიც მსმენელთა მიერ ხალხურ მუსიკად იყო მიჩნეული და ლირიულმა მელოდიებმა -„თოლია“, „გაზაფხული“, „გამოღმით მე ვარ“, „ეგ თვალები“, „ახ, ტურფავ ტურფავ“, „რა ვიღონო“, „მაგნოლია“ და სხვა.**, მართლაც რომ წარუშლელი კვალი დატოვა ლირიული საშემსრულებლო ჟანრის ქართულ ესტრადაზე მყარად დამკვიდრების საქმეში.

მის სახელსა და გვარს გასული საუკუნის 60-იან წლებში ხშირად გაიგონებდით. რესპუბლიკის ქალაქებსა და დაბებში საკონცერტო მოგზაურობებმა, საინტერესო რეპერტუარმა და შესრულების მაღალმა პროფესიულმა დონემ, მარეხ გოძიაშვილს და მის ვოკალურ ტრიოს ფართო გზა გაუხსნა და საერთაშორისო აღიარება მოუტანა. ნიშანდობლივია, რომ საზღვარგარეთ საგასტროლო მოგზაურობისას მომღერალი საგანგებოდ სწავლობდა ამა თუ იმ ქვეყნის სიმღერებს, რაც თავისთავად ანსამბლ „ლილეს“ რეპერტუარს ზრდიდა და მრავალფეროვანს ხდიდა. მათ სიამოვნებით უსმენდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, მოსკოვის, ლენინგრადის, ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის, თურქეთის, ავსტრალიის, ეგვიპტის, ინდოეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, მალტის საკონცერტო დარბაზებსა და სცენებზე, რასაც ყოველთვის თან ახლდა ოვაციები, საქებარი სიტყვები და გამოხმაურებები. აღფრთოვანებული სტატიები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში:

**„არა, ამაზე წერა არ შეიძლება, ის უნდა განიცადოს თითოეულმა თქვენგანმა. მხოლოდ მან, ვინც კონცერტს ესწრებოდა, იცის, თუ როგორი წარმატება ჰქონდათ ქართველ მომღერლებს“,** – ასე დაიწერა ლაიფციგში, საერთაშორისო გამოფენის უზარმაზარ 15-ათასიან პავილიონში, ადგილობრივ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, „ლილეს“ გამოსვლის შემდეგ (სხვათა შორის „ლილე“ ერთადერთი საესტრადო ტრიო იყო, რომელიც ამ კონცერტში ჩართეს).

იმდენად შთამბეჭდავი იყო მომღერლების გამოსვლა, რომ „პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებამ“ მარეხ გოძიაშვილი და ტრიოს წევრები ამ საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს. უცხოეთში, სადაც კი გამოდიოდა ანსამბლი „ლილე“ და მისი სოლისტი, ღირსეულად წარმოაჩენდნენ ქართულ ეროვნულ მუსიკას: თავისთავადს, ნათელს, ღრმად შინაარსიანს, ყველასთვის ახლობელსა და გასაგებს. მარეხ გოძიაშვილისთვის სიმღერა მხოლოდ გატაცების და ინტერესის სფერო კი არ იყო, არამედ მისი სულის ნაწილს განეკუთვნებოდა. თუმცა მომადლებული ნიჭიერებისა და გამორჩეული უნარ-ჩვევების გარეშე ასეთი შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. მარეხ გოძიაშვილს, სწორედაც რომ, უხვად გააჩნდა ეს თვისებები. ამიტომ იყო მის შესრულებაში უჩვეულო სისადავე, მომხიბვლელობა, სულის უნაზეს სიმებს რომ ეხებოდა, გვხიბლავდა, გვატკბობდა და გვახარებდა.

მარეხ გოძიაშვილის მუსიკისადმი გულწრფელი მსახურება, ქართული საესტრადო სიმღერის გამარჯვებისა და საერთაშორისო აღიარების დასტურად უნდა მივიჩნიოთ. იგი თავის ანსამბლთან ერთად 1957 წელს მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI და 1959 წელს ვენის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII მსოფლიო ფესტივალების ლაურეატი გახდა.

**1968 წელს მარეხ გოძიაშვილს საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა. 1997 წელს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“. 2010 წელს აირჩიეს „თბილისის საპატიო მოქალაქედ“. დაჯილდოებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „საპატიო სიგელით“ და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“.**

**მარეხ გოძიაშვილი 2017 წელს, 90 წლის ასაკში გარდაიცვალა.**



**გელა ქოქიაშვილი,**
ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი, ქართული კულტურის ამაგდარი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, სიღნაღის საპატიო მოქალაქე.



# რუსეთმა ღმერთი მოკლა!

(მეთერთმეტე გვერდიდან)

ჯერჯეროზით ჩემგან სრულყოფილად გაუმხელელს კვლავ ვუბრუნდები. გადაგვარებულმა თუ მარად ასეთმა რუსეთმა საქართველო-უკრაინიდან დაიწყო კაცობრიობის ამოჟლეტა, რომელიც ნებისმიერ წარსულში მსოფლიო ომზე გულისამრევ-საზიზღარია. მშიშარა, დაბნეულ-პოლიტიკურად დაულაგებელ-ამღვრეული კაცობრიობა კი ეწირება, ნევრო-ფსიქოლოგიურად შერყეულ კვლავ შეუსწავლელ ჯალათებს, მასიურ მკვლელებს და მშიშარათ ეპოქა დაგვიდგა მიწა პლანეტაზე. საუბედუროდ, ჩვენს საზოგადოებაში შედარებით მაღალი ავტორიტეტის მქონე პირები თავიანთ პირადულ მომავალს ინაღდებენ და უზნეოთსაკენ ლავირებენ – სამარცხვინოა! მათი სიცოცხლე და სიკვდილიც...

ამდაგვარი სახით იწყება რატომღაც მიმალული კაცობრიობის განადგურება, მოუხერხებელი ხალხთა მიწა პლანეტის დაბნელება; თუ ასე გაგრძელდა საშინელებათა სვლა-მოქმედება, ბოლოს უცილოდ ყოველთა გამანადგურებელ მკვლელებს და თავად სიკვდილს დარჩება დედამიწა ჩვენი.

**„მიწა, საცოდავ-შელახული და კოსმოსი დუმს“.** ერთადერთი გალაქტიკის ჩვენი ცოცხალი ვარსკვლავ-სხეული საფრთხეშია, მისი ჯანსაღ დიდი განმსჯელი მოკლეს, და უზნეო ბოროტება ცხელ ლავად ბობოქრობს. მსოფლიოს ძლიერი გმირი ბრძენი პატრონი არა ჰყავს და ამრიგად იწყება საერთო სიცოცხლის დაშლა-განადგურება უსუსტეს მოლეკულის დარად. ქვეყნიერების მარადიული გამრიგე სიკვდილიც გაოგნებულ-გაკვირვებულია, რათა ქვეყნად მისი კანონიკური ზომიერება დაირღვა, გაქრა. დიახ, მზე, კეთილი ყველას ათბობს და კვებავს. რატომღაც თითქოსდა კანონიერება თუ უკანონობას არ რეაგირებს, მოძალებულ ზედმეტი სხივებით გაირინდა თუ?! მზე ხომ ყოველ და ყველა აღმსარებლობებზე ძლიერ-მაღალია. მთლიანობაში ხედავს ყოველთა მომავლის ათასწლეულებს და ალბათ შორეული უსასრულობისკენ იმზირება, მკვლელთ ქვესკნელური გონება კი ადამის მოდგმის ამოძირკვას შეუჩერებლივ შედგომია: ბოროტშხამიანი ვარსკვლავები უსასრულო ცაზე ხრინწიანი ხმით ხარხარებენ, მტრისმიერ ზოგიერთი ქვეყანა-საზოგადოების გადაბირებით.

შიშის ქვეშაა სრულიად დედამიწა, საშინელებაა, როდესაც სიკვდილის ეშინია ადამიანს: მათგან ხომ ზეიმით მოდის სიკვდილი და ეფინება საზოგადოებას უსაზღვროდ. მე, მხცოვანი და დაუღლელი ხელოვანი, ნებისმიერთ კვლავ ვპასუხობ, მათი არ მეშინია, რათა უკვე როგორც ქართველი, განწირული ვარ მათგან. რუსეთმა და მისმა მოთავემ სრულიად კაცობრიობას მხოლოდ წინ მავალი სიკვდილი ჩამოუგდო – შავ ბადად. უფალი ხომ უპირველესად მოიშორეს და ეკლესია კი ადვილად შეითანხმეს. სამარცხვინოდ, მათი მესვეურნი, მათგან გარდაუვალი სიკვდილის შიშით მკვლელის გვერდით დადგნენ იმის იმედით, რომ მომავალში კვლავ მათთან გააგრძელებენ მოჩვენებით ლოცვით განცხრომით ცხოვრება-არსებობას (არა მგონია, ყოველივე დაუდგეს მათ). გაურკვეველი დროით, დიდი უზარმაზარი შავი ღრუბელი ჩადგა ჩვენსა და მზეს შორის, ბოროტთაგან გზავნილი. მთვარე სავსებაბადრული თუ გამოჩნდა ზოგჯერ, ირონიულად და ღიმილით დასცქერის მიწა-პლანეტას და ესიტყვება: – რა მოგივიდათ, რას ნერვიულობთ ყველანი ერთად, მე დიდი ხანია, მკვდარი პლანეტა ვარ, მაგრამ მშვიდად და მშვენივრად ვგრძნობ თავს: დალაგდით, დაწყნარდით და მომავალს დაელოდეთ... საუბედუროდ, დიდი ადამიანების მიერ ნაწრთობი რუსეთის გონება კვლავ დაჩლუნგდა და მოყვითალო ფოსფორისფერი ჟანგი ჭამს. იმედი? კვლავ ვარსკვლავეთურ სიკეთე-სიყვარულზეა მინდობილი. მომავლის უფალი? უთუოდ აღსდგება და მიხედავს თავის განწირულ წამებულ შვილებს. მკვლელ ავაზაკთა მიტევება?! ყოველივე ეს ურთულესი მომავალი, სამართლიან ხალხზეა დაქვემდებარებული.

მარადიული სიცოცხლე-ცხოვრება დედამიწაზე, მუდამ უსასრულოდ გაედინება და ივლის უკვდავ სიკეთე-ბოროტების გაუთავებელ ორთაბრძოლით ჭიდილში. მათში ადამის მოდგმა მუდამჟამს ნაამებ-ტანჯულ-წამებული იქნება. ამქვეყნიურად დადგენილ უჯიუტეს მაგ კანონ-თვისებას უსასრულობის უთვალავი გალაქტიკები და მზეებიც ვერ შეცვლის...

ამ ფორმით და საერთაშორისო მდგომარეობით განმწარებული, აზრთა უძირო აუზში, შემადარ თუ გამომხატველ სიტყვას ვერ ვპოულობ. დედამიწაზე გაბატონების შევბნელი მიზნით კი არა, მთლიანი მზის სისტემა რომ დაგითმონ, ადამიანო! როგორ უნდა აგრე სადისტურად ხოცო და ანადგურო ქვეყნები, ქალაქები, სოფლები, ერები, ხალხი, ბავშვები, მოხუცები! ვერა და ვერ ვპოულობ ამ სახის სადიზმბოროტების შემადარ და უმძიმეს სახელწოდებას: უთუოდ ქვესკნელისფერი სატანაც ვერ გასცემს ზუსტ პასუხს და ალბათ მისეულად მიაკივლებს უცხოდ ჩვენთვის საშინელ უაზრო აზრმიუწვდენელს... დიახ, უსაზიზღრესი ომის ამტეხთა გონება საბოლოოდ სიკვდილსაც მოკლავს და თავად უსიტყვოდ ლეშგვამად ქცეული მიჰყვება მას. სრული არარაობითია მათი დასასრული: როგორც მოგახსენეთ, ასეთია; თუ არ უშველა სამყაროს უკეთილშობილესმა სამართლიანმა ძალებმა. უთუოდ რომ ის მოისწრაფვის მათგან ტანჯული დედამიწისკენ.

**დღევანდელოგის ისტორიული ფაქტი სახეზეა, საერთაშორისო მკვლელ პუტინს ნახევრად ოკუპირებული საქართველოს შემდეგ ევროპა, უდანაშაულო უკრაინით დაწყებული, მთავარ სატანურ გეგმად ჰქონია გველ-კობრასეული სისინით გათვლილი. განა დაავიწყდება ოდესმე ხალხს, ქვეყანას და უტყვ ქვასაც ემახსოვრება მუდმივად ის გაუგონარი სადიზმი, ქართველი ქალებისა და მამაკაცების მოჭრილი თავებით ამაზრზენად ბურთისმიეროგით თამაშობდნენ და საზიზღარ სიკვდილისმიერი ხმით რომ ხარხარებდნენ გაგრის ფეხბურთის მოედანზე, რათა სისხლიანი ფეხის ყურება უზომო სიხარულს ჰგვრიდა უსასტიკეს სადისტ ოკუპანტებს...**

ნუთუ მსოფლიოში არ გამოჩნდა ისეთი სამართლიანი რაინდი, ხალხი და ძალა, ანუ გამორჩეული ღრმად მოაზროვნე პიროვნება, რომ გადაარჩინოს ტანჯული უკრაინელები და ოკუპანტებისგან იხსნას საქართველო, მისი წმიდა სისხლნაწილი მიწების მიტაცებებისგან. ისეთი რა წყევლა განავრცო სატანამ, რომ თავისთავად იღუპება რუსი ხალხი. რათა ეს აგრესიული ერი მთლიანად შეიძულა მსოფლიომ, ამდაგვარი სიძულვილი თავისი ფსიქოლოგიური სიძლიერით, მასიურ გამანადგურებელ იარაღზე ნაკლები არაა. კვლავ ზემოდან – მიწიდან და უხილაობიდან გვეკითხებიან, სადაა ეკლესიათ მსახურები, მრავალნი ანუ რჩეულნი? მათგან დიდი შეწირვები და განწირვებია საჭირო, რომ ეს ორი მოძმე ერი სულიერ-ფიზიკურად გადაარჩინოს, წარმოუდგენელი უბედურებისაგან შეპყრობილი ერთეულები – ჯიშით გადაგვარებულნი სისხლის მსმელ – უფრო მოწყურებულნი, უკიდურესად ღუპავენ საქართველო-უკრაინას და მომავალში მათ რიგში დგანან მრავალნი ერნი დამოუკიდებელი კულტურით, ენით, მეცნიერება-ხელოვნებით, შორეული ისტორიით თუ ხასიათ-მენტალიტეტით; რატომ მესამე ათასწლეულშიც იმძლავრა სატანამ? აგრე სისხლისმსმელები რომ დარაზმა, ხროვად აყარა თავიანთი ბინძური ბუდეებიდან და კაცობრიობის დამპყრობლური ჟინით შიზოფრენიები განადგურების გზას გაუყენეს. დღეს მსოფლიომ სრულიად სხვა საპირისპირო მიდგომა უნდა მონახოს, უთუოდ მოწინავე კეთილმა და მართალმა საზოგადოებამ. იარაღების ჟღარუნი ევროპიდან, ამერიკიდან; ყოველივე საპასუხო, უფრო საშიში განმეორებაა ომისა და ადამიანთა მასიური ჟლეტვისა. უნდა მოხდეს მსოფლიოს ხალხთა არნახულ-გაუგონარი მასიური გამოსვლა უძლიერესი პროტესტით, ხელშიშველი, დიდი თუ პატარა ერები მიაწყდეს რუსეთის საზღვრებს. რა თქმა უნდა, დიდი რისკის ფასად და მაშინ მოევლინება ქვეყანას წმინდანები და გადაარჩენენ მკვლელთაგან სიკვდილმიგზავნილ ერებს. ან უფრო ნიჭიერთაგან ღვთიურ-კოსმიური და მოულოდნელი ბრძნული მიდგომაა აღმოსაჩენი იმედ-მოლოდინით... მიწათა მიტაცების უზარმაზარი მანიაკებისგან, ამდაგვარი გზით განიკურნოს ისინი და ქვეყანა თავისივე ნიადაგის ჭიაღუებისგან ჩაგრულის – შეწუხებულ-გვემულის. სასწაულმა ხალხთა მოძრაობის იდუმალებამ დროზე უნდა დაიწყოს სისხლისდენის და სიკვდილის მიმოფანტვის ჩაქრობა-ამოძირკვა. სამწუხაროდ, მიუწვდომლის უსასრულობა გაივსო ბოროტი ფორმებით, შავი ხაზებითა და ფერებით, რომელიც აღმოცენდა ეშმაკეული უბინძურესი ჭაობისფერი ჩრდილოეთის ბუდიდან. მკვლელ კაცთა ბოროტებას კვლავ ყოვლისმძლე ზეადამიანურმა სიკეთემ, ჭეშმარიტებამ და მაღალმა აზროვნებამ უნდა სძლიოს.

როგორც მოგახსენეთ, სივრცის შხამ-სხივებით დაავადებულია რუსეთი. ღმერთის მკვლელები კაცობრიობის მკვლელ საწყისებს წარმოადგენენ.

**„მშიშარა ორიენტირების კატობრიობა რეგვენ მკვლელს სამარცხვინოდ თვითნებურად ეწირება და ბოროტება უკიდურესად აღზევდა“.**

**ზესატანური დიპლომატიიდან გამომდიარე უფრო გადახრილმა რუსებმა ჯერ ღმერთი მოკლეს, ეკლესია ჩააჩუმეს-ჩაითრიეს და მერმე კატობრიობის ჟლეტა დაიწყეს მშვიდობისმოყვარე კეთილშობილი უკრაინიდან. განწირული, საუბედუროდ ადამის მოდგმის მხსნელი ჯერჯეროზით არა ჩანს, მათგან ყურით მოთრეული სიკვდილი დაეუფლა კაცთა მოდგმას, რომელიც უცხვირპიროდ საყვედუროზს უზენაეს სამართალს, მე არაფერ შუაში ვარო, მაძალებენ და ვასრულებ ჩემს ფუნქციებს! ირგვლივ გარემო უკანონო სიკვდილსაც დაეუფლა და გნელეთის საშინელი ძალებით, უზნეოებითა და სიძულვილით თარეშობენ ამ დროს ქვესკნეთელნი, თავიანთი ხალხის მომავალზეც არ ფიქრობენ, მხოლოდ სულმწარეთ უნდათ შექმნან დიდი და უბოროტესი რუსეთის იმპერია. ბოლოს და ბოლოს, ამ საშინელი მიზან-გეგმებით კატობრიობას ანადგურებენ და ნუთუ იმას ვერ ხვდებიან, სიძულვილსა და სიკვდილს უმზადებენ თავიანთ ხალხსაც. ამ უაზრო უბინძურეს შემთხვევაში ნორმალური რუსი ადამიანებიც დაიღუპებიან.**

როდის დაბადებს თუ მოუვლენს შეწირულ წმინდანს რუსეთის ეკლესია? ლოცვითაც ვიზრუნოთ! თუ არადა ღვთის ეკლესიაც ეწირება გველთავებს. თუმცა ყოველ ამათმა უფალი უკვე მოუკლეს და წმიდა ხატები მუხლებზე გადაიმტვრიეს. ამრიგად, სიკვდილს, ყველაზე უდრეკ უბადრუკს გადააბარეს მიწა-პლანეტა.

თქვენ მაინც დროულად წამოდექით, მართლმადიდებლური რუსეთის აწ გარდაცვლილო, ერთ დროს წამებულნო წმინდანებო, გამოეცხადეთ და გაანათეთ ჩაბნელებული რუსეთი, უშველეთ ეკლესია-მონასტრებს, მრევლსა და მათგან ყოველ განწირულთ.

მეთვრამეტე, მეცხრამეტე, მეოცე საუკუნის დასაწყისში მრავალ ერთა და ხალხთა საუბედუროდ, რუსეთს ფაქტიურად ჰქონდა შექმნილი ორჯერ, ბოროტების იმპერია, მეფის რუსეთისა და მარქსისტული უღმერთობის, საბჭოთა კავშირად წოდებული. ამჟამად მესამედაც მოუნდათ მხედველობადაკარგულთ, შექმნან ქვეყნების, ხალხთა და უძველესი ერების მჩაგვრელთ გამანადგურებელი სისხლიანი იმპერია. ორჯერ და სამჯერ, არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ ჰქონია ამ სახის დამპყრობლური გველ-სატანური გაერთიანება და სწრფვა პლანეტის სრული ბატონ-პატრონობისა. ყოველივე ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ამ ხალხის გონებაში სისხლსა და ხორცში გამჯდარია საშინელი დემაგოგია და შოვინიზმი, სწრაფვა მსოფლიოში ყოვლად დაუმსახურებელი პირველობის და ჩაგვრა-ბატონობა, მრავალ ხალხ-ერებზე ურჯულო რუსიფიკაციის განხორციელებით. ამდაგვარი უგონო სწრაფვით და თავის თავზე ავადმყოფური წარმოდგენებით უპირველესად, შეიძლება, დედამიწა დიდი საფრთხის წინაშე დააყენოს, რაც, მოსალოდნელია, თავისივე ხალხის, ქვეყნის და ასევე მსოფლიოს მილიონობით უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვით დამთავრდეს.



**დედამიწაზე ნებისმიერი იმპერიის შექმნა ხომ უფლისა და ადამიანის უარყოფაა სიკეთე-სიყვარულთან ერთად...**

**რეზო ადამია,**
2022 წ. დეკემბერი. თბილისი




# ფინტების მბრძანებელი

**რუგაშვილი, ხინჩეგაშვილი (ჭიდაობა), აფციაური (ფარიკაობა), გოგოლაძე (ტანვარჯიში), ისელიძე (წყალბურთი), უგრეხელიძე, სტეფანია (კალათბურთი), მარღანია, ელოშვილი, ბარქაია, გუცაევი... რა აერთიანებს ქართული სპორტის აღნიშნულ თანავარსკვლავედს?**

დიახ, მართალი ბრძანდებით – თითოეულ მათგანს ვლადიმერი ჰქვია და, მართალია, ეს უკანასკნელი ტიტულებით სეხნიათა გარკვეულ ნაწილს ვერ უწევს კონკურენციას, მაგრამ მაინც გულშემატკივართა კერპი გახლავთ.

მესხის სამშობლოში რომ ფინტების დიდოსტატად გაღიარებენ, თანაც თბილისის დინამოელის მაისურს თვით ლეგენდარული სლავა მეტრეველი გადმოგცემს, თითქოს შთამბეჭდავი კარიერისკენ მწვანე შუქი გაქვს ანთებული, მაგრამ ერთია დიდებისკენ გაკვალული ბილიკი და მეორე – როგორი მარშრუტით შეუყვები მას.

ჩვენი წერილის გმირმა პირნათლად მოიხადა ვალი ქომაგთა წინაშე – მიუხედავად მასზე გამოცხადებული ნადირობისა და უამრავი ტრავმისა, მაინც შექმნა მთელი ეპოქა სამამულო ფეხბურთში, საყვარელი გუნდის ღირსება 300-ზე მეტ შეხვედრაში დაიცვა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფეხბურთი ითამაშა!

ბუნებრივია, როცა ვლადიმერ გუცაევზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებული მადლიერება უნდა გამოვხატოთ ნოდარ ახალკაცის გენიის მიერ შექმნილი ანსამბლისადმი, მაგრამ ნურც ნახევარი საუკუნის წინანდელ მოვლენას დავივიწყებთ, როცა ესპანეთში გამართულ ოთხთა პრესტიჟულ ტურნირზე ჯერაც დებიუტანტმა მარჯვენაფლანგელმა ფურორი მოახდინა და დიდი როლი ითამაშა კარაველას თასის წამოღებაში.

თავისი საქმის პროფესიონალი სამწვრთნელო ასპარეზზეც სულსა და გულს აქსოვდა ეროვნული ნაკრების თავკაცობისას, დღეს კი პოპულარული ტელეპროექტის – ტაიმ აუტის ანალიტიკოსის ამპლუაში გამოირჩევა კომპეტენტური ნააზრევით.

**ამასობაში თვალსა და ხელს შუა მილეულა 70 წელიწადი. საიუბილეო თარიღს გილოცავთ, ძვირფასო ვეტერანო!**

**„სრ“ სპორტის რედაქცია.**

# სეზონის ფინიშზე

### ცურვა

**სალონიკი (საბერძნეთი)**. საერთაშორისო ტურნირი. **ოქრო** – ნოე ფანცხავა (გულაღმა ცურვა 50 მ.). მან მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატის ლიცენზია, რომელიც გაისად იაპონიის ქალაქ ფუკუოკაში გაიმართება. **ბრინჯაო** – ანა ნიჟარაძე (ბატერფლაით 100 მ. „ბ“ ფინალი). მან გააუმჯობესა 1988 წელს(!) ირინა გერასიმოვას მიერ დამყარებული რეკორდი.

### წყალბურთი

**პოლონეთი.** ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირები. **პირველი ადგილი** – საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები (5 მონაწილე). მთავარი მწვრთნელი – თამაზ კუტივაძე, მწვრთნელი – კოკა გიორგაძე. **მესამე ადგილი** – საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები (7 მონაწილე). საერთაშორისო სარბიელზე დებიუტი ჰქონდა ახალგაზრდა ქართველ მსაჯს **ლუკა ბარბაქაძეს.**

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი. **ოქრო** – გიორგი თოხაძე (ოზურგეთი, 55), რომეო ბერიძე (აჭარა, 60), გიორგი შოთაძე (ლანჩხუთი, 63), ჯონი ხეცურიანი (ხობი, 67), რამაზ ზოიძე (აჭარა, 72), იური ლომაძე (ოზურგეთი, 77), გელა ბოლქვაძე (აჭარა, 82), გურამ ხეცურიანი (ქუთაისი, 87), რობერტ კობლიაშვილი (გარდაბანი, 97), იაკობ ქაჯაია (წყალტუბო, 130). გუნდური ჩათვლა: აჭარა, ოზურგეთი, გარდაბანი.

### რაგბი

ევროპის სუპერთასის ფინალში ისრაელის თელ ავივ ჰითის მგზავ ჯორდან ჩაიტთან მომხდარი ინციდენტის გამო რაგბი ევროპამ ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა შავი ლომისა და ბორჯღალოსანთა კაპიტანი **მერაბ შარიქაძე**. იგი სამ-სამ შეხვედრას გამოტოვებს როგორც პირველი ლიგის კლუბ კიკეთის იუნკერებში, სადაც ოფიციალურად ირიცხება, ისე ეროვნულ ნაკრებში, სადაც ჩვენი გუნდის მეტოქეები რაგბი ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში გერმანია, ნიდერლანდები და ესპანეთი იქნებიან.

### კალათბურთი

**აშშ-ის კოლეჯების ლიგა.** სან ფრანცისკო – ჰარტფორდი 85:53. **საბა გიგიბერია** (21 წ. 2016 სმ) – 16 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება (15 წუთში!). ეს ქართველი ლეგიონერის კარიერაში საუკეთესო შედეგია. **იტალიის სერია „ა“**. XII ტური. პეზარო – ვირტუს ბოლონია 82:87 (დამატებით დროში). **თორნიკე შენგელია** – 38 წუთში 19 ქულა, 10 მოხსნა, 4 დაფარება, 3 ჩაჭრა და ქმზ-ის ტიტული. სტუმრები 11 გამარჯვებით ჩემპიონატის ლიდერები არიან.

### ფეხბურთი

სეზონის ლაურეატთა დაჯილდოება. საუკეთესო ფეხბურთელი – **ხვიჩა კვარაცხელია** (ზედიზედ მესამედ). კრისტალბეთ ეროვნული ლიგის წლის საუკეთესო მოთამაშე, თავდამსხმელი და ბომბარდირი – **ჯოვანი ფლამარიონი** („ბათუმი“). საუკეთესო მეკარე – **ირაკლი კუტალაძე** („დინამო“). საუკეთესო მცველი – **ჯიმი ტაბიძე** („დინამო“). საუკეთესო ნახევარმცველი – **სანდრო ალთუნაშვილი** („ბათუმი“). საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი – **ანრი მექვაბიშვილი** („დინამო“). საუკეთესო მწვრთნელი – **გიორგი ჭიაბრიშვილი** („დინამო“). **აფხაზეთის** ომში გმირულად დაღუპული **ზაზა ბენდელიანის** 32-ე მემორიალი „ზენდელას თასი“. **ფინალი.** რუსთავი – საბურთალო 1:0. **მატჩი მესამე ადგილისთვის.** ზესტაფონი – ახმედოვის აკადემია (უზბეკეთი) 2:1. სულ ხსოვნის ტურნირში 2011 წელს დაბადებულ მოზარდთა 16 გუნდი მონაწილეობდა. **რუსთავი.** ქვემო ქართლის თასი (ორგანიზატორი – რეგიონული ფედერაცია და მისი პრეზიდენტი **გია ტუხაშვილი).** მონაწილენი – 2010 წელს დაბადებულ ბავშვთა 8 გუნდი. **ფინალი**. რუსთავი – ალგეთი (მარნეული) 2:0.

### ჭადრაკი




საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ფიდე-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორი **აკაკი იაშვილი** გახდა, რომელმაც 14-წლიანი მმართველობის შემდეგ გია გიორგაძე შეცვალა.

**ყაზახეთის** ყოფილ დედაქალაქ ალმათიში 30 დეკემბერს დასრულდება ქალ-ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატები სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში, რომელშიც 10 ქართველი დიდოსტატი მონაწილეობს: ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ნინო ბაციაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, მერი არაბიძე, სოფიო გვეტაძე, სოფიო ტერელაძე, ბაადურ ჯობავა, გიგა ყუფარაძე და ლევან ფანცულაია. საპრიზო ადგილებისთვის სულ 100 მანდილოსანი და 180 მამაკაცი იბრძვის.

⊙ რაგბი ჩვენი თამაშია

# გაისად უკეთ, ვიდრე წელს!

**ისტორიული სეზონის ფინიშზე „თბილისი მარიოტში“ საქართველოს რაგბის კავშირის საანგარიშო საერთო კრება გაიმართა, რომელსაც 34 ნამდვილი წევრიდან 31, ასევე გამგეობის წევრები დაესწრნენ.**

კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ, აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე გოგებაშვილმა და გამგეობის თავმჯდომარემ დავით კაჭარავამ დამსწრე საზოგადოებას 2022 წლის ანგარიში ჩააბარეს და გააცნეს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მოგვიანებით ერთხმად დაამტკიცეს.

შევიდა ცვლილება სრკ-ს წესდებაში და 25-ე მუხლს დაემატა 25.4 პუნქტი, რომლის თანახმად ერთი და იგივე პირი რაგბის კავშირის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

პრეზიდენტის ანგარიშში იოსებ ტყემალაძემ 2022 წლის მიღწევებზე ისაუბრა – ქართული რაგბის ისტორიული შედეგი, რაც ექვსი ერის ორი გუნდის: იტალიისა (ბათუმში) და უელსის (კარდიფში) დამარცხებაში აისახა; პირველი ქართული პროფესიული ფრენჩაიზის „შავი ლომის“ წარმატება და სამომავლო პერსპექტივები; 100 ახალი სარაგბო მოედნის პროექტი; 40%-ით გაზრდილი სახელმწიფო დაფინანსება; კლუბების სპონსორების რაოდენობის ზრდა; სასკოლო რაგბის ახალი პროექტი; უპრეცედენტო სასპონსორო შეთანხმება თი ბი სი-სთან; გენერალურ სპონსორთან შეთანხმების ბოლო ეტაპი; რაგბის განვითარების ახალი დირექტორი; რაგბის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფი. მანვე ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, რის შემდეგაც კლუბების წარმომადგენლების კითხვებს უპასუხა.

იოსებ ტყემალაძე: **„მინდა ყველას მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი და გაგაცნოთ ის სამუშაო, რომელიც ქართულმა რაგბმა 2022 წლის განმავლობაში გაწია. ყველას გახსოვთ, რომ გვქონდა პრობლემები, რომელთაგან გამოკვეთილი იყო სამი ძირითადი ნაწილი – დავალიანება კავშირის ირგვლივ, ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი, დაუგეგმავი კალენდარი და კლუბების მძიმე მდგომარეობა.**

კლუბებთან მიმართებაში ჩვენ შევძელით, რომ დიდი 10-ის ყველა კლუბს სტაბილურად მიეღო გაზრდილი, 800-ათასიანი დაფინანსება, რაც სიმშვიდისთვის უმნიშვნელოვანესია. მომავალი წლიდან, სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, კიდევ იგეგმება კლუბების დაფინანსების ზრდა. ეს ხელს შეუწყობს მათ მდგრადობას, წინსვლას და განვითარებას. ასევე გაორმაგდა პირველი და რეგიონული ლიგის კლუბების დაფინანსება, რისთვისაც მადლობას ვუხდი მთავრობას, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, რადგან სწორედ ის არის დაფინანსების მთავარი წყარო.

ეროვნული ნაკრები ჩვენი სახეა და ამ კუთხით თუ რამის გაკეთება შეიძლებოდა, ყველაფერი შევასრულეთ. მოთამაშეების დავალიანების დიდი ნაწილი დაფარულია, 2020 წლიდან დარჩენილ დავალიანებას კი, ვიმედოვნებ, თებერვლის ბოლომდე დავფარავთ. რა მოთხოვნაც იყო სამწვრთნელო შტაბის სრულად დაკომპლექტების კუთხით, მაქსიმალურად გავითვალისწინეთ და



მსოფლიო რაგბთან ერთად ეს პრობლემაც გადავჭერით. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დახმარებით მოხდა „შევარდენის“ ბაზის სრული რეაბილიტაცია, როგორც სასტუმროსი, ასევე მინდვრის საფარის და ამაში „ქართუმ“ 5 მილიონზე მეტი დახარჯა.

განხორციელდა ძირეული რეფორმა რაგბის კავშირში. ვაკანტურია მაღალი მიღწევების დირექტორის ადგილი და მსოფლიო რაგბთან ერთად ეს საკითხიც უახლოეს პერიოდში მოგვარდება. მნიშვნელოვანია მოწესრიგდეს კლუბების სტრუქტურაც, რაშიც კავშირი ყველა მათგანს დაეხმარება. მსოფლიო რაგბთანაც დავაყენეთ საკითხი, რომ მათაც მიიღონ მონაწილეობა ჩვენი კლუბების განვითარებაში, როგორც ტექნიკური აღჭურვილობის, ასევე ცოდნის გაღრმავების კუთხით. ჩვენ მეტ ყურადღებას დავუთმობთ ქართულ კლუბებს და დავეხმარებით მათ სტრუქტურულ ცვლილებებში, რაშიც ჩავრთავთ საკონსულტაციო კომპანიას. ასევე კიდევ უფრო დიდი ყურადღება დაეთმობა ბავშვთა რაგბის განვითარებას.

მსოფლიო რაგბთან ერთად ჩამოვაყალიბეთ ახალი, სპორტული კომიტეტი, რომელსაც რიჩი დიქსონი უხელმძღვანელებს. კომიტეტში ასევე იქნებიან მსოფლიო რაგბის მაღალი მიღწევების მიმართულების ხელმძღვანელი პიტერ ჰორნი, მსოფლიო რაგბის საშეჯიბრო მიმართულების ხელმძღვანელი ნაიჯელ კასი, რაგბის კავშირის პრეზიდენტის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობებში ლევან ღვაზერიძე, ბორჯღალოსნების მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი, მამუკა გორგოძე და ბაჩო ხურციძე, რომელიც მსოფლიო რაგბმა 4 ქვეყანაში კონსულტანტად დანიშნა და ერთ-ერთი მათგანი საქართველოა. ეს კომიტეტი აქტიურად იმუშავებს კლუბებთან, მათ შორის დიდი 10-ის რეფორმასთან დაკავშირებით.

ჩვენ გვსურდა, რომ მომავალი სეზონიდან დიდ 10-ში გუნდების რაოდენობა 8-მდე შეგვემცირებინა და თითქოს კლუბების თანხმობაც იყო, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს თანხმობა არ იყო მყარი და ისევ კლუბების თხოვნით რეფორმა გარკვეული დროით გადავდეთ. მინდა გითხრათ, რომ კავშირი არასდროს მიიღებს კლუბების სურვილის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას და ზემოთნახსენებ კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ გადავწყვეტთ, როდის განხორციელდეს ეს რეფორმა და რამდენმა გუნდმა ითამაშოს დიდ 10-ში.

ასევე მინდა თხოვნით მოგმართოთ კლუბებს – საერთაშორისო თამაშებზე გულშემატკივრების მობილიზება. ბიჭები ძალიან ბევრს შრომობენ, ასევე კავშირი ცდილობს, რომ თამაშების ორგანიზება მაქსიმალურად მიახლოებული იყოს საერთაშორისო სტანდარტთან და ამ დროს გულშემატკივარი არ მოდის. გავანებოთ თავი იმას, რომ ეს კავშირისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროა. თუ მაყურებელი არ გვეყოლება, ჩვენ ვერ შევძლებთ ექვს ერში და ჩელენჯ თასზე თამაშს, რადგან ეს არის ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნა.

მნიშვნელოვანი სიახლეებია საერთაშორისო მიმართულებით. წელს გვქონდა რამდენიმე გასვლითი შეხვედრა მსოფლიო რაგბის, საფრანგეთის რაგბის კავშირის, ექვსი ერის და ევროპის პროფესიული საკლუბო რაგბის წარმომადგენლებთან, თბილისში ჩამოსული იყო მსოფლიო რაგბის უმაღლესი დონის დელეგაცია პრეზიდენტის, სერ ბილ ბომონტის ხელმძღვანელობით. ფრანგებისგან იმაზე მეტი მხარდაჭერა გვაქვს, ვიდრე ველოდით. ისინი მზად არიან მხარი დაუჭირონ ქართულ რაგბს, იქნება ეს ექვს ერში თუ ჩელენჯ თასში ჩართვის საკითხი. მსოფლიო რაგბიც გვეთანხმება, რომ ქართულ რაგბს ჭირდება მეტი მაღალი დონის თამაშები, როგორც სანაკრებო, ასევე ფრენჩაიზის დონეზე და ამ ნაწილში სრული მხარდაჭერა გვაქვს.

იტალიასთან და უელსთან წელს მოპოვებულმა ისტორიულმა გამარჯვებებმა ქართული რაგბის მიმართ მიდგომა შეცვალა. კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ წარმატებას და დარწმუნებული ვარ, რომ ერთად დგომით, ერთად შრომით კიდევ ბევრ ისტორიულ გამარჯვებას მოვიპოვებთ.

# გიორგი მწერალი და ძმა მისი საბა ხახულელი



**1 იანვარს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს გიორგი მწერალს და მის ძმას საბა ხახულელს, რომლებიც იყვნენ ბიძები წმინდა გიორგი მთაწმინდელისა. ისინი შეუდგნენ ბერ-მონაზვნობის ღვაწლს ხახულის მონასტერში.**

...წმინდა მამები საღმრთო მადლით იყვნენ სავსენი. უხუცესი გიორგი კურაპალატის კარზე მოღვაწეობდა, უმცროსი ძმა — საბა — **„სიმდიდრესა და საღმრთოსა მოქალაქობასა შეზავებული ჰქონდა ხორციელსა სიმდიდრესა თანა, იყო წრფელი და უმანკო“.**

საგულისხმოა, რომ ძმების მამამ, იაკობმა გაიგო რა შვილების ღვთისმოსაობის შესახებ, ისინი სწავლა-განათლების და აღზრდისთვის მონასტერში დატოვა... ამ დროს ღირსმა გიორგი ხახულელმა ყრმა გიორგიც ფერის ჯოჯიკის ძის ოჯახში წაიყვანა. ცოტა ხნის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა ბასილიმ ცილი დასწამა ფერისს და თავი მოჰკვეთა. მისი მეუღლე სახლიკაცებით კონსტანტინოპოლს წაიყვანეს, სადაც 12 წელი დაჰყვეს. შემდგომ უკან დაბრუნდნენ და კვლავ წმიდა საბასთან აღმოჩნდა ჭაბუკი გიორგი.

ტროპარი: **„ვარსკვავნო ბრწყინვალენნო, ვედრებად ჩვენთვის ნუ დასცხრებით, რომელნი ვდღესასწაულობთ ხსენებასა მიწმინდისა თქვენისასა“.**

გიული ლიპარტია

# სად მიემგზავრებიან საქართველოს მოქალაქეები ახალი წლის შესახვედრად?

**შობა-ახალ წელს საქართველოს მოქალაქეების ნაწილი საზღვარგარეთ შეხვდება. ასეთი ტურების დიდი ნაწილი უკვე დაგეგმილია.**

რომელი მიმართულებებია ყველაზე პოპულარული ქართველი ვიზიტორებისთვის. ამ კითხვით „კომერსანტმა“ ტურისტულ კომპანიებს მიმართა.

როგორც „გოუ ტურის“ დამფუძნებელმა ნინო წიკლაურმა „კომერსანტთან“ განაცხადა, მისი კომპანიის შემთხვევაში ყველაზე გაყიდვადი მიმართულებებია: ეგვიპტე, დუბაი, პრაღა, პარიზი, ვენა და იტალიის ქალაქები.

**„ქართველი მომხმარებელი საახალწლოდ ორ თემატიკას ანიჭებს უპირატესობას. ერთია, რომ უნდათ სითბოში და თბილ ეგზოტიკურ ქვეყნებში ყოფნა. ამ მიმართულებით ყველაზე პოპულარული და გაყიდვადია ეგვიპტე, დუბაი, მალდივები, შრი ლანკა, გოა. თუმცა მაინც ყველაზე დიდი მოთხოვნა ეგვიპტეზე და დუბაიზე მოდის.**

**მეორე ნაწილის არჩევანია ევროპა. ისინი უპირატესობას ანიჭებენ იმ საახალწლო სილამაზეს და განწყობას, რაც ზოგადად ევროპულ ქვეყნებში უკვე დეკემბრიდან იწყება. „გოუ ტურის“ შემთხვევაში მოთხოვნა მეტწილად მოდის ჩეხეთზე, საფრანგეთზე, იტალიაზე, ავსტრიაზე“,** — ამბობს ნინო წიკლაური.

„გოუ ტურის“ დამფუძნებლის თქმით, 2022 წელს შარშანდელთან შედარებით დასვენების ფასები ზოგადად გაზრდილია, თუმცა უშუალოდ საახალწლო ტურებზე ფასები 20%-ით გაიზარდა, რაც შეეხება მოთხოვნას, „გოუ ტურის“ ინფორმაციით, ზრდა 30-40%-ის ფარგლებშია.

საზღვარგარეთ საახალწლო ტურების გაზრდილ მოთხოვნაზე საუბრობს ტურისტული კომპანია Dbcwjdth Gtjhubf-ს დამფუძნებელი ნინა კეკელიძეც. მისი თქმით, საახალწლოდ ტურებზე მოთხოვნა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 70%-ითაა გაზრდილი.

„**ძალიან პოპულარული მიმართულებაა შარმ ელ-შეიხი, დუბაი და ზოგადად არაბეთის გაერთიანებული საამიროები. მალდივის კუნძულები, შრი ლანკა, ტაილანდი — კი ეგზოტიკური დასვენების მოყვარულებისთვისაა.**

**სიცივის და ამინდის მიუხედავად, საახალწლოდ ძალიან პოპულარულია ევროპა. ქართველებისთვის ევროპა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, საუბარია პარიზზე, რომზე, ბარსელონაზე, პრაღაზე და ბუდაპეშტზე. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საკმაოდ მაღალია, წელს უკვე აქტიურადაა დატვირთული საერთაშორისო ფრენები და მათ შორის მოგზაურობაც“** — აცხადებს ნინა კეკელიძე.

ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებმა იმ მიზეზებზეც ისაუბრეს, რის გამოც ქართველი მომხმარებელი სადღესასწაულო დღეების საზღვარგარეთ გატარებას არჩევს. მათი თქმით, საქართველოში სასტუმროების ფასები ნამდვილად ძვირია და უტოლდება იგივე პარიზის, რომის თუ ბარსელონას 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებს. თუმცა როგორც სექტორის წარმომადგენლები ამბობენ, მაღალი ფასის მიუხედავად საქართველოს სასტუმროებზე ახალი წლის დღეებში საერთაშორისო ვიზიტორების მხრიდან მოთხოვნაც და გადახდისუნარიანობაც არის.






# ხელოვნება, რომელიც ნეტარებით გათრობს

**წერილს მშრალი ინფორმაციით დავიწყებ და მკითხველს იმის საშუალებას მივცემ, რომ კითხვის დროს, ნელ-ნელა ჩაუღრმავდეს გადმოცემულ მასალას, თავად შეიგრძნოს წერილის გმირის ნიჭიერება და სრულად გაისიგრძეგანოს ის დიდი საქმე, რასაც მხატვარი თამარ მაღლაფერიძე-დადეშქელიანი საქართველოსთვის, ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის აკეთებს და ამ ინსპირაციაში ახალ სტილს ნერგავს. სტილს, რომელიც ახალი იდეების გაჩენას და მათი შემდგომი რეალიზაციისთვის უზარმაზარ საშუალებას და სივრცეს იძლევა.**

**თამარ მაღლაფერიძე-დადეშქელიანი**

**მხატვარი/ფერმწერი**

**2012 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ფერწერის მიმართულებით — ბაკალავრი/მაგისტრატურა. მისი შემოქმედება საზოგადოებამ ფერწერული ნამუშევრებით გაიცნო.**

**2006 წლიდან დღემდე გახლავთ არაერთი გამოფენისა თუ პროექტის მონაწილე, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.**

ყველაზე მთავარი კი ახლა იწყება — 2018 წელს ქართული ღვინით ხატვის იდეა და სურვილი გაჩნდა. როგორც თავად ამბობს ეს თამამი ექსპერიმენტი ნაწილობრივ იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ იმ პერიოდში აქტიური შეხება ჰქონდა კახეთთან. ეს აქტიური კონტაქტები ახალი შთაგონების წყაროდ იქცა და საინტერესო იდეაც დაიბადა — ღვინით ხატვა!

***— ღვინით ხატვა უცხო და მომხიბვლელი აღმოჩნდა. ვხატავ მხოლოდ ქართული ღვინით, ყოველგვარი მინარევების გარეშე, რომლის უნიკალურობა თვალსაჩინოდ აისახება ნამუშევრების ფერთა გამაზე და მათ განსაკუთრებულ მომხიბვლელობას სძენს. შეგრძნებებს ისიც ამძაფრებს, რომ ნამუშევრების თემატიკა ქართული ღვინის რვაათასწლოვან კულტურასთან ასოცირდება. კომპოზიციური თემებიც (ქვევრი, ყურძნის მტევანი, თამადა და სხვ.) პირდაპირ კავშირშია ღვინის კულტურასთან.***

ამ ყველაფერს თან ახლავს თამარის შემოქმედებითი მიგნებები. დროდადრო სხვადასხვა შატოში ღვინით ხატვის მასტერკლასებს ატარებს და მისი ნამუშევრები ქართული ღვინისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე პერიოდულად ექსპოზიციის სახით გამოიფინება.

ცხადია ამ შესანიშნავმა იდეამ საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

2019 წელს იაპონიაში გამართულ ქართული ღვინის დღეებზე გამოიფინა ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრები, რომლებიც დღესდღეობით იაპონიის, გერმანიის, შვეიცარიის, იტალიის და ცხადია საქართველოს კერძო კოლექციებში.

— თამარის ნამუშევრები აგრეთვე დაცულია პრინცესა ქეთევან ბაგრატიონი-მუხრანბატონის, პრინც ლელიო ნიკოლო ორსინის, საქართველოში შეერთებული შტატების ელჩის, კელი დეგნანის და სხვათა კერძო კოლექციებში. გამოქვეყნებულია ღვინის თემაზე შექმნილ რამდენიმე კატალოგშიც.

***— ღვინით ხატვის გაგრძელება საზოგადოების მაღალმა ინტერესმა და მოთხოვნილებამ განაპირობა. ამა წლის 27 აპრილს ვატიკანში, საქართველოს საელჩოს, კერძოდ, პრინცესა ქეთევან ბაგრატიონი-მუხრანბატონის ინიციატივით, იტალიაში მოქმედი კომპანია „8 მილენიუმის“ ორგანიზებითა და საქართველოს ფოსტის მხარდაჭერით ჩემი პერსონალური გამოფენა — „ღვინის ფერები“ — გაიმართა, რომელსაც 183 წელს აშენებულმა პალაცო ფერაჯოლიმ (Palazzo Ferrajoli) უმასპინძლა. ეს ღონისძიება საქართველოსა და ვატიკანს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლისთავს მიეძღვნა.***

***დამსწრე სტუმრებისთვის ღვინით ხატვის მასტერკლასი ჩავატარე, რამაც დიდი მოწონება და ინტერესი დაიმსახურა. ღონისძიებას ვატიკანში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ვატიკანის და სახელმწიფო სამდივნოს წარმომადგენლებთან ერთად, პროფესიონალი სომელიეები და ღვინის ბლოგერებიც ესწრებოდნენ.***

იხ. 16 გვ.


# ყურადღება, კონკურსი

საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს აკადემიის წევრის ვაკანსიებზე: მათემატიკის და მექანიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და აგრარულ მეცნიერებათა, სამედიცინო მეცნიერებების, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის განყოფილებებში — თითო ვაკანსია.

კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს: განცხადება, პირადობის მოწმობის ასლი, ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო ხარისხისა და აკადემიური წოდების ასლები, სამეცნიერო შრომების სია, 2 ფოტოსურათი (3X4).

საბუთების მიღება იწარმოებს 2023 წლის 1 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, მ.კოსტავას ქ.77, სტუ IV, ოთახი 403 და 405. შესაძლებელია საბუთების ელექტრონული ფორმით წარმოდგენა შემდეგ მისამართზე: t.berber@mail.com.

ცნობებისთვის: ტელ. 599 617700, 577 300192

# ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტმა ჯაბა სამუშია აირჩია!



**30-ე რექტორი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით აირჩიეს. აკადემიური საბჭოს 38 წევრიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 32-მა. საარჩევნო კომისიის მდივნის ინფორმაციით, ორი ბიულეტენი გაუქმდა, ხოლო აკადემიური საბჭოს არჩევნებში მონაწილე 30-მა წევრმა ხმა მისცა ჯაბა სამუშიას.**

არჩევნებზე კენჭისყრის დათვლის პროცესს არასამთავრობო ორგანიზაციის, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ორი დამკვირვებელი აკვირდებოდა.

ცნობისთვის, გიორგი შარვაშიძემ თსუ-ს აკადემიურ საბჭოს რექტორის თანამდებობიდან გადადგომის თხოვნით 7 ოქტომბერს მიმართა.





# ხელოვნება, რომელიც ნეტარებით გათრობს

(მეთხუთმეტე გვერდიდან)

არის შემოთავაზება ტოსკანაში მდებარე ერთ-ერთ შატოში, სადაც ღვინის ნამუშევრების გამოფენა და ღვინით ხატვის მასტერკლასი გაიმართება. მსგავსი ღონისძიება ლონდონში საქართველოს საელჩოშიც იგეგმება.

ერთი შეხედვით მარტივი ნამუშევრები საკმაოდ რთული შესასრულებელია და დიდ რუდუნებას და შემოქმედებით მიგნებებს მოითხოვს. კომპოზიცია ჯერ ფანქრით სრულდება, შემდეგ კი სუფთა ღვინოს ყოველგვარი მინარევების გარეშე იყენებს. ნახატი მხოლოდ ქართული ღვინით (ქვევრის, ოჯახური, ქარხნული) იქმნება. მთავარია, ღვინო ქართული ჯიშის ყურძნისგან უნდა იყოს დაწურული და ამიტომაც არის, რომ ნამუშევრები ფერების ნაირსახეობითა და განსაკუთრებული მომხიბვლელობით გამოირჩევა.

აღმოჩნდა, რომ ევროპული ღვინო ფერთა მდგრადობითა თუ სიუხვით არ გამოირჩევა. თამარის ნამუშევრებში გამოყენებული ფერები, რომლებიც რამდენიმე სახეობის შავი ან თეთრი ღვინისგან იქმნება და მათი თანამიმდევრობა მხატვრის მიგნებისა და ექსპერიმენტის შედეგია. ფერების დამორჩილება და ნამუშევრის ისე გამოყვანა, რომ ნახატის სახე მიიღოს, არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

– ქართული ღვინით შექმნილი ნამუშევრის ფერთა პალიტრა იმდენად განსხვავებულია, რომ ინდივიდუალურობას იძენს და მათი მხატვრული აგებულება ერთმანეთისგან განსხვავდება.

**დიახ, ეს ენერგია იგრძნობა და ხატვისას გარშემო საოცარი სურნელიც იფრქვევა. მუშაობისას შეუძლებელია ღვინის დასაჭაშნიკებლად სულმა არ წაგძლიოს. ძალიან მიყვარს საფერავი...**

**ზოგიერთი ნამუშევრის დასახატად რამდენიმე დღე დამჭირვებია, ზოგი კი ხელის ერთი მოსმით შემიქმნია. გააჩნია განწყობას, რა როგორ გამოდის. შესაძლოა ღვინო გემური თვისებებით დასალევად არ მოგწონდეს, მაგრამ ხატვის პროცესში ბევრად კარგი ფერი მიიღოს, ვიდრე განთქმული ყურძნის ჯიშისგან დაწურულმა. ღვინო ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ის ბუნებრივი სამხატვრო მასალაც აღმოჩნდა, რომელიც სიცოცხლის ნაპერწკალსაც ინარჩუნებს.**

მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოში ღვინით მხატვრობა თამარ მაღლაფერიძე-დადეშქელიანის სახელთან ასოცირდება და სასიხარულოა, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერი მხატვარი ქართული ღვინის პოპულარიზაციას ამ კუთხითაც ემსახურება.

წერილის ბოლოს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თამარს უკვე გამოუჩნდნენ მიმდევრები, რომლებიც თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ამ მიმართულებით მუშაობენ. წარმატება ვუსურვოთ ამ ორიგინალურ, ნამდვილ ქართულ მიმართულებას, რომელიც უდაოდ იტყვის თავის სიტყვას ხელოვნების ისტორიაში.

**გია გაბრიჭიძე**



ღვინით ხატვის მასტერკლასი დამსწრე სტუმრებისთვის

# ღმერთმა გამრავლოთ!!!

უცხოეთში დევნილ ცნობილ ჟურნალისტს, გაზეთ „შანსის“ რედაქტორ ბონდო ქურდაძესა და მის ოჯახს, უახლოესი მეგობრები სულითა და გულით ვულოცავთ საფრანგეთში, რიგით მესამე შვილიშვილის, გვარის გამგრძელებლის პატარა გაბრიელ ქურდაძის შეძენას.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ამ წინასაახალწლოდ პატარა ქართველის მოვლინება მისი ისტორიული სამშობლოსთვის, მისი ოჯახისა და მთელი მსოფლიოსთვის. პატარა გაბრიელის მშობლებს ნიკას და ნათიას ჯანმრთელობას, წინსვლასა და გამრავლებას ვუსურვებთ!

სპარტაკ ქობულია, მამუკა ვაშაკიძე, გია პლატონიშვილი, გია გაბრიჭიძე, დალი ხუნდაძე, ოთარ ტურაბელიძე, მალხაზ დვალი, ზურა კორკოტაძე.



# ექლვნება ბათუმს - ქათქათას!

წელს, ბათუმის შესახებ უცხოურ მედიაში 150-მდე სტატია, ბლოგპოსტი და სიუჟეტი გამოქვეყნდა. Bloomberg, Euronews Wanderlust, Conde Nast Traveler, Forbes, Dailymail და New York Times იმ გავლენიან მედიაგიგანტებს შორისაა, სადაც ბათუმის საზღვაო და სამთო ტურისტული პროდუქტების შესახებ სტატიები დაიბეჭდა. ინფორმაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს.

აჭარის ტურისტული შესაძლებლობები გააცნო მკითხველს ისეთი მსხვილი ტურისტული გამოფენების გამოცემებმაც, როგორებიცაა ბერლინის ITB BERLIN NEWS, ლონდონის WTM YEARBOOK და დუბაის ATM DUBAI DAILY PUBLICATION.

2022 წელი ბათუმისთვის გამორჩეული იყო საერთაშორისო აღიარებების კუთხითაც. წელს პირველად, ევროპის ჯილდოს შემდეგ ბათუმმა World Travel Awards-ის პრესტიჟული ჯილდო, როგორც მსოფლიოს წამყვანმა ტურისტულმა მიმართულებამ მოიპოვა. წელსვე, ოფიციალურად დასახელდა ბათუმი 2023 წლის ევროპის გალა ცერემონიის მასპინძელ ქალაქად.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 იანვარს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7028; ევრო - 2.8712;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2628;
100 რუბლი - 3.9030; თურქული ლირა - 0.1446;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5929;
1000 სომხური დრამი - 6.8634

**ამინდი 29 დეკემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | -1, | დღე +9 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -6, | დღე +6 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -9, | დღე +3 |
| თბილისი: | ღამე | +2, | დღე +8 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge